



ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი № 28

მკათათვე 2013

ღმერთო, შეამსწარ — მაისი გმირებს აღვამდეს გვირგვინებს!!! სულმნათები 74 წლისანი იქნებოდნენ!..



რა ბედნიერი კაცი ხარ!
(ზვიად გამსახურდიას)

შენზე ლეგენდა-თქმულებამ
იმატა, არ კი იკლო,
რა ბედნიერი კაცი ხარ,
მართლა მკვდარიც რომ იყო;
შენ, მართლა მკვდარიც რომ იყო,
უმალ დაშვსოს თვალი,
მანაც არასდროს მოკვდები,
იმგვარი დაგრჩა კვალი;
მართლაცდა, მკვდარიც რომ იყო,
უმალ დაგინყდეს მტრები,
კოჭამდე ვერ მოგწვდებიან
ერთად ცოცხალი მკვდრები.
სიტყვას ვერ ამბობს ვერავინ
შენი ხსენების გარე...
ხან კარგად გაგიხსენებენ
ხან გაურევენ მწარეს;
გვერდს ვერ აგივლის ვერავინ,
თუმც არ გელევა მტერიც,
„ცუდას რად უნდა მტერობა,“ —
მთავარი არის ერი...
ერი კი მისდევს შენს გზას და,
არცა ეგების სხვაგვარ...
სიკვდილი რაა... — ადგომა
ერთ დღეს და წასვლა სხვაგან...
შენ კი არც არსად წასულხარ,
აქ ტრიალებ და აქ ხარ,
სად გინდა იყო, მეფურად
შენს სამშობლოში დახვალ;
აღტაცებულა უკვდავი
შენი იდეით ყოვლი...
შენს სახელს იმეორებენ
სიყვარულით და თრთოლვით;
მიტომაც, შენზე ლეგენდამ
იმატა, კი არ იკლო...
და ბედნიერი კაცი ხარ,
მართლა მკვდარიც რომ იყო!
ბელა შალვაშვილი



მერაბ კოსტავას

მალიმალ მომაგონდება
შენი ტანჯული სახე,
შენც ასე მოგექცეოდნენ,
კიდევ კარგია, წახველ;
არ დაგველია გველობა
გარეშე და მოყვრის...
და ძმათა ძმური სიმუხთლით
ათი ათასჯერ მოვკვიდი.
ჰო, წასვლა სჯობდა დარჩენას,
თორემ ძველ ნანახ-განცდილს,
ერთიან გაგიხსენებდა,
იმგვარ ტკივილებს ასციდი;
ის სულის ძმა რომ დასტოვე
გულდამწვარი და ცალად,
ჩვენივე ხელით განაგდო
მტერმა... მომხდარი მზარავს;
სხედან ეს მტრები და ძმები —
ყველა მენცარის სწორი...
ამ პარლამენტში კეკელუცობს
შენი ყოფილი ცოლიც;
აღარცა ქალი ქალობს და
აღარცა კაცი კაცობს...
რაიც შეილთაგან მამულს ხვდა,
არ იქნებოდა არცროს;
საზარელია მომხდარი,
ვაი მოსახდენს ანი...
მალიმალ გხედავ სივრცეში
ლაღად ფრთაგამილ არწივს;
მეჩვენები და გულს მინვაგს
შენი ტანჯული სახე...
დიდმისებრ შენც მოგიკვეთდნენ,
კიდევ კარგია, წახველ!

საქართველოს ეროვნული გმირის,
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-
რაობის პატრიარქის, საქართველოს
პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის
— ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურ-
დიას ბიუსტის დადგმა განხორციელ-
და სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“
თავმჯდომარის ბატონ ალექსანდრე ჭა-
ჭიას ინიციატივითა და დაფინანსებით.
სკულპტურის ავტორია მოქანდაკე ბად-
რი სხულუხია. ბიუსტი გაიხსნა ქ. ზუგ-
დიდში 2002 წლის 26 მაისს.

საქართველოს ეროვნული გმირის,
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-
რაობის ერთ-ერთი ლიდერის — მერაბ
ივანეს ძე კოსტავას ბიუსტის დადგმა
განხორციელდა ქ. ზუგდიდის გამგეო-
ბისა და საკრებულოს ინიციატივითა და
დაფინანსებით. სკულპტურის ავტორია
მოქანდაკე ბადრი სხულუხია. ბიუსტი
გაიხსნა ქ. ზუგდიდში 2013 წლის 26 მა-
ისს.

სურათებზე: ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ბიუსტი ქ. ზუგდიდში.
ბადრი მაქაცარიას ფოტოები.

ბელა შალვაშვილი
1993, 26 ვარდობისა

6 ივლისი — წალენჯიხის ტრაგედიის 21-ე წლისთავი!



წალენჯიხის საქართველოს სიმბოლოა!

ზვიად გამსახურდია

6 ივლისი

ხალხის ნებით და ღვთის კურთხევით!

2013 წლის 6 ივლისს, დღის 12 საათზე, წალენჯიხის სკოლა-ინტერნატის
ეზოში, იქ, სადაც 21 წლის წინათ — 1992 წლის 6 ივლისის ავბედით ალი-
ონზე, ეროვნული ძალებისა და „მხედრონის“ ცნობილი შეტაკება მოხდა,
ხალხის ნებით და ღვთის კურთხევით, დაღუპულ გვარდიელთა ხსოვნის მე-
მორიალი გაიხსნა...

ალალი ცრემლი...

საქართველოს ეროვნული თავისუფლების დაცვისათვის, 1992 წლის 6 ივ-
ლისს, წალენჯიხის ბრძოლაში დაიღუპნენ კანონიერი ხელისუფლების გვარდი-
ელები:

1. გულად პართენის ძე ღვინჯილია — 38 წ. (წალენჯიხა);
2. ნუგზარ რუბენის ძე ძვანაძე — 45 წ. (წალენჯიხა);
3. პავლეშა გრიგოლის ძე გაბედავა — 41 წ. (ზუგდიდი);
4. როინ ხუბუტის ძე დარსანია — 33 წ. (ზუგდიდი);
5. ჯემალ ნაპოლეონის ძე კარტოზია — 43 წ. (ზუგდიდი);
6. გორა ანზორის ძე ლომია — 28 წ. (ზუგდიდი);
7. ვახტანგ პეტრეს ძე ქანთარია — 36 წ. (ზუგდიდი);
8. ბიჭა ილიკოს ძე შენგელია — 35 წ. (ზუგდიდი);
9. ონისე ვაჟას ძე შონია — 24 წ. (ზუგდიდი).

ისინი იბრძოდნენ, რადგან ვერ იგუეს უსამართლობა, დამცირება, ბორო-
ტების სიკეთეზე ზეობა. — იბრძოდნენ, რადგან სურდათ ეცხოვრათ ჭეშმარი-
ტად დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში.

ისინი დაიღუპნენ, რადგან უკან დახევა არ სჩვეოდათ, ვაჟაკები იყვნენ და
სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ.

მარადიული დიდება და უკვდავება კოლხ ვაჟაკებს!


სურათზე ხსოვნის მემორიალის გახსნა
წალენჯიხაში. დგას კანონიერი ხელისუფლების
გვარდიელი, წალენჯიხის ბრძოლის მონაწილე
ზაზა ქირია.
წალენჯიხა, 6 ივლისი, 2013 წელი.

ვაი ნანა! — რისი ხმაა
ლაკადას რომ აზანზარებს?!
ჭილყვავები მოფრენილან —
წაბილწავენ დედოზარებს!
ვაი ნანა! — განთიადი
შეიღება სისხლით ძმათა,
ქვაზე გდია მზეჭაბუკი
სისხლდაქცეულ ჭანისწყალთან.
ვაი ნანა! — ივლისის მზე
ველარ ათბობს სხეულთ ყრმათა,
აქ კოლხეთის თბილი გული
დაისერა, დაიშანთა.
ვაი ნანა! — იმერ-ამერ
გამყინავი მოდის ხმანი...
ეს მოზარე დედებია
ვეფხვისა და მოყმისანი.

ირინე ოდიშარი

პოეზია

რინოს კვარაცხელია: „ჩვენ დიდი ღამე მოვიგერიეთ...“



ფროსი მეგობარი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე რინოს კვარაცხელია ჯანმრთელობის გაუარესების გამო, წლებულს, გაზაფხულზე, ორჯერ იყო თბილისში და გარკვეული პროცედურები ჩაიტარა. მისი მონახულების სურვილმა, მაისის ერთ მშვენიერ დღეს, დაგვაკავშირა ერთმანეთთან ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში მცხოვრები ედემ კვიციანი, წალენჯიხაში, მამისეულ სახლში მყოფი თამაზ ფიფია და თქვენი მონა მორჩილი, რათა რინოსთან ერთად, რამდენიმე საათის განმავლობაში, თავი გვეგრძნო პოეზიის საუფლოში.

ჩვენი მისვლით სტუმართმოყვარეობით განთქმულმა ოჯახმა გაიხარა: ქალბატონმა ლეილა მამნივე პურმარილი შემოგვაცაგება. ჩვენს მისვლას დაემთხვა მათი შვილიშვილის ვახტანგ ჭანტურიას ჩამოსვლა თბილისიდან. იგი, ბაბუას მაგალითით შთაგონებული, უკვე წარმატებით შედგომია პოეზიის აღმართს. (მის შემოქმედებას შემდგომში გავაცნობთ მკითხველს).

მაისის იმ ღირსსახსოვარ, დიდებულ მზიან დღეს ქალღმერთი მუზა გვიღიმოდა შეკრებილთ და იქ გაუფრთხილები და იქ გაუფრთხილები ლექსების ცალკეული ნიმუშები აისახა ამ გაზაფხულის ფურცლებზე.

ბატონ რინოსს ვუსურვავთ სრულყოფილად გამოჯანმრთელება. გაისად, 24 მარტს, მას 80 წელი უსრულდება!

წალენჯიხის საზოგადოებამ უნდა შეეძლოთ, ცხოვრებისგან დიდად გულნატკენს, ამჯერად ხშირად შეუძლოდ მყოფს, მაგრამ გაუტყველ, შემართულ პოეტს, ღირსეულ პიროვნებას, მამულიშვილ შემოქმედს კუთვნილი პატივი მივავოთ!

ვალერი ძაძაძია

სამეგრელო

ადრინდელი რვეულიდან

სამეგრელო, ხელგაშლილო
სამეგობროდ,
შენს გულმკერდზე ცოდვის
კალო მოატარეს;
წაგბილენს წმინდა ჯვარი საამბორო,
თვით ურჯულს შენში ეძებს მოლაღატეს.
რა ლაჩრულად დაგიფასეს ერთგულება, -
მოდმისაგან დაკოდილი გული გოდებს,
სიძულვილი მაინც ადარ გუფულება, —
თუმცა შხამი შარბათივით მოგანოდეს...
ისე, როგორც მტერს შეჭფერის
გადამთიელს —
რად მოსთხარეს ქუჯისა და
ცოტნეს კუთხე;
ბაღარით მინდორ-ველი გადათელეს,
სიხარულის ღირსი რარიგ დაგამწხრეს.
ყამი გვიდგას უფმური და უძნელესი,
ხეს სიცოცხლის ბელზებელი
აჭრის ტოტებს;
ვერ მოსთხარონ შენი ძირი უძველესი,
თუმცა ეგ სურს აღზევებულ სიბოროტეს.
იმ ავსულთა იავანა დაგიფეთეს,
ვისაც ატკობს შენი სისხლის
ნატბეგარი, —
შინდისფერი დროშაც
იმათ დაგიფლითეს.
იმ თვისტომთა თუმცა გტანჯავს
ულმერთობა, —
გულმონყალედ ილოცები:
„სქან სანთელი,“ —
ერთსულობა დაუმკვიდრე
ქართველობას, —
ჭირისაგან დაიხსენი საქართველო!
1993 წ.

ექებს და პოეზებს

წარწერად სერგო წურწუმიას ნიგნისა — „მზის ოთხი წახნაგი“

პოეტი უფლის სიზმარში ცხოვრობს
შეგბა-ლხენით და ურვა-წუხილით,
უამოდ ისმენს მინიერ ხორხოცს, —
არ აკრთობს დელგმა და ცის ქუხილი...
დამცრობილ მამულს მნედ ეფაფრება,
ხშირ-ხშირად ციდან ცრემლებს აწვიმებს,
მისი ფიქრები და მღელვარება, —
ლექსებმა ციმციმ გაინანილეს...
თუ პოეზია გულს ეამება, —
სატკივარს ყველას როდი უქარვებს,
ქუთათისშია და ეზმანება, —
ზღვაში ქალივით მზე მოცურავე...
ფიქრით ჭანისწყალს ადმოუქროლებს
და ტაძარს ცისკენ აფრენილს გედად;
უთქმელ სიამით გულს აუჩქროლებს
პოეტი შვილის ლექსები დედას...
ჩანს მისი ნიჭის თვითმყოფადობა,
განცდილთ გრანელის მოჭკავს ნათესავს,
შვენიის ლექსებში დარდიმანდობა, -
ექებს და პოეზებს გულის საესავს...
იცის ედემი ვინც გაუსხვისა,
უძძიმს სულიდან სევდის ოტება,
ეს იქნებოდა წყრობა უფლისა, —
წენდინას რომ არ ეშვა პოეტად.
2008 წ.

შერიგება

ვივინყებ წყენას, თუ რამ მანყინეთ,
თქვენც დაივინყეთ, თუკი განყინეთ,
ჩემი ნატვრაა, — ერთად გავბრწყინდეთ,
რამეთუ წყვილადს გამოვალნიეთ...
ვივინყებ ახლა ყოველგვარ წყენას,
ლამაზი სახის ვხედავ პროფილებს;
მე ალტაცების ჰამაჰამი ვწვევარ
და გათენება მაკმაყოფილებს.
იგმა წკვარამი, ჩვენც რომ ვერიეთ
და ვანყდებოდით ერთმანეთს ხშირად;
ჩვენ დიდი ღამე მოვიგერიეთ,
უფმური ჟამის სასტიკი ქმინვა...
ვივინყებ წყენას, თუ რამ მანყინეთ,
თქვენც დაივინყეთ, თუკი განყინეთ,
ახლა კი დროა, ერთად გავბრწყინდეთ,
რამეთუ ბნელეთს გამოვალნიეთ.
2013 წ.

ამოიწურა...

ამოიწურა მელანი,
ამოიწურა დროც, —
ჟამია თავად ელაში,
ვერ იხედება შორს...
ჭრილობას ველარ იხორცებს,
დღე ენთება და ქრება, —
ამოიწურული სიცოცხლე
საფლავზე ჯვრებად რჩება...
ამოიწურა მელანი,
ამოიწურა დროც, —
ჟამია თავად ელაში,
ვერ იხედება შორს...
2013 წ.

გვარში უბადლო რაინდი ბალადა ძვირფას იუბილარს გრამიტონ კვარაცხელიას

სულ მუდამ მოუსვენარი
სულით და გულით მგზნებარით,
თქვენ აიხდინეთ დიდი ხნის
წახატრი, ნაოცნებარი.
ნამდვილად გამორჩეული
კაცი ხარ მართლაც კაცური, —
თქვენგან გავლილი გზა არის
ამის მკაფიო დასტური.
ძნელი გზა გამოიარეთ
და ქართველის ეპოქა,
თქვენი ნაღვანი ამქვეყნად
ჩვენს გვარს საქებად ეყოფა.
წარსულის, ანმყოფ, მომავლის
ხართ მკვიდრი მემატინე,
სამშობლო ქვეყნის ნიაღში
დაუღალავად ტრიალებთ.
თქვენ დაგაკისრათ გამჩენმა
ხალხის მსახურის მისია,
საქმენი მეტად საჩინო,
ჩვენში რომ კარგად იციან,
ულური კი თქვენთვისაც
პატარა ოაზისია...
აქაურ ტყეს და მდინარეს
თქვენთვის სხვაგვარი ხიბლი აქვს,
ადგილის დედა გლოცავდათ
სად ფეხმიშველსაც გივლიათ,
აქ შემოვიდა თქვენს სულში

ვაჟა, აკაკი, ილია,
აქ დაინერა ნამდვილად
გვარიშვილობის ბიბლიაც...
იქით ლომქუა, ონყარდე,
აქეთ ხუნჯგუში, ლაჩახვა, —
სიზმრებში გეცხადებოდათ
თქვენში რომ ჰყოვა ასახვა.
ნანას გიმღერდა წყურვილი,
კოტას წყურვილი რაკაკა,
ბავშვობის მთელი სამყარო
ქცეული იგავ-არაკად...
უკან მოგდევდათ თილისმად
ნანას და ბაბას ვედრება;
მათ ამაგს სათნოდ პასუხობს
თქვენი ყოველი ქმედება,
მთელს ჩვენს მხარეში გიცნობენ,
ყველგან გხედებიან გულლიად,
კოლხური გზებით მეგობრობთ
ქართლს, იმერეთს და გურიას
კაცთმოყვარული თვისება
ეს თქვენი სამკაულია.
თქვენი გზა ყველგან ხსნილია,
ბევრგან გყავთ სიტყვის გამგონი,
გურიას პენით ეპყრობით
გურიის სიძე-ბატონი.
თქვენი ძვირფასი ოჯახი
ასე რომ ბრწყინავს აღმასად,
ჩვენგან პატივი ეკუთვნის
თქვენი ცხოვრების თანამგზავრს,
ვლოცავ ქალბატონ ვალიდას
ყოფა რომ გაგილამაზათ.

* * *

ნიგნი ხომ გვარის ძეგლია,
თავადაც ძეგლი დაიდგით
და დაიმკვიდრეთ სახელი
გვარში უბადლო რაინდის.
იგი ხომ თაობებს შორის
მაერთებელი ხიდა
და ყველა გვარიშვილისთვის
უებრო მაგალითია.
ვკითხულობთ ამ ნიგნს და გული
სიამაყითაც ივსება,
ღმერთმა უმრავლოს ჩვენს გვარტომს
სიბრძნე, სილაღე, ღირსება!
გვარის ანმყო და მერმისი
ლამაზ ფერებად ირთვება,
უკვე ქცეულა ეს ნიგნი
გვარის ქალწულთა მზითევად.
ოთხმოცდახუთი წლის ქველი
კვლავ ჯველივით ირჯებით,
თქვენში რაც არ უნდ ეძებონ, —
ველარ იპოვონ ხინჯები
სიკეთეს, კაცურკაცობას
არასდროს გაემიჯნებით.
კელაპტარივით ანათებთ
კვლავ სამომავლო მიზნებით.
ჩვენს გვარს შემატეს ლაზათი
თქვენმა ძვირფასმა ვაჟებმა,
ბადიშებმა კი აზარტი
სიცოცხლის გარიჟრაჟებას.
დე, წინ უძლოდეთ შვილებს და
შვილიშვილების მოთალებს,
სამშვილიშვილო საქმეთა
რომ კვლავაც იყოთ მოთავე,
გაგრძელდეს გვარის სიცოცხლე
მარადიულად მშფოთვარე,
მისი წასვლა და დიდება
რომ არასოდეს მოთავდეს.
თქვენ კი ბატონო გრამიტონ,
ამგვარად უნდა გექუხათ.
რამეთუ ქუდი ნაშუისს
გხურავთ და მუდამ გეხურათ,
ახადეთ დავინწყვისა
ნისლი რომ წარსულს ებურა...
სიმხნედ, დიდებულ გვარისა
გებრძოლოთ კვლავინდებურად, —
რომ მარად იდგეთ გვარტომში
რტოებდახუნძლულ ბერძუნად!
28 აპრილი, 2012.

იმღერე მურმან!

მურმან ქარდავასადმი

გულს ეფონება, როს კოლხური
ხმატკბილი ისმის,
ლექსით, სიმღერით გავემკლავდეთ
დროებას მურდალს;
უიმედობის უსიამო გაფანტე ნისლი, —
იმღერე მურმან!
თუ ჰანგი კოლხთა ლოცვასავით
ღმერთს ასდიოდა, —
დღეს ვაჟკაცური მოძახილი
გაარღვევს ბურანს;
გული გინევეს სასიმღეროდ
და სალხინოდ, —
იმღერე მურმან!
შორს ჩვენგან ჯაზი და ჟღირალი
გულის ნამღები,
სული კოლხური ვერ იგუებს
სიმღერას უგვანს;
ძირძველ ლაკადას ლაკადური

მოსდე ჰანგები, —
იმღერე მურმან!
ჩვენები არვის სიმღერაში
ტოლს არ უდებენ,
გულსაც წყურია ამო ჰანგი,
ვით წყალი მწყურვალს;
შენ მხარს უმშვენებ შავჩოხიან
თანაგუნდელებს, —
მრავალჟამიერ —
იმღერე მურმან!

2011 წ.

იმ დღეთა ხსოვნა

თუმც გული კენესის,
შენ იმედად მაინც გიგულვებ,
მე სევდის ხე ვარ სიმძიმლილი
რტო დახუნძლული,
თუ სიხარული გულში
ველარ შემოვიტყუე,
მე რა ვიღონო, —
თუ ის გარბის
ჩემგან ძუნძულით...
უნინ დილის მზე
სიხარულის სხივებს მაფენდა,
წავიდა დრო და
ყველაფერი გადასხვაფერდა...
იმ დღეთა ხსოვნა
კვლავ იცოცხლებს
და ივარაყებს
ჩემს ტანჯულ გულში
ულევ სევდად და
სიამაყედ.

2008 წ.

* * *

ვალი ვერ გადავიხადე,
დრო მიდის ასე თავნება, —
ეს დღევანდელი სიცხადე
ბოლოს იქცევა ზმანებად.
სიზმარი მოჩანს იმედად,
ხშირად სიზმარში ვცხოვრობ, —
ჟამი კარგს არას მპირდება
ჟამი თარსია მხოლოდ...
ჭმუნვაში გადის დროება,
ჩემს ნათესს შხამად ვიძვი,
ბევრმა დაკარგა გონება,
მაინც არარა მიკვირს.
ზეცა მოცივა უკუნმა,
მიწა უმზეოდ გლია, —
ჩარხი ტრიალებს უკულმა,
წყალნიც უკულმა დიან...
გვაციკვებს სხვათა დაკრული...
დარდები მიპყრობს ერთობ, —
ოხრად შთენილი მამული
შენ დაიფარე ღმერთო!..

2011 წ.

მე ერთი მიყვარს...

მე ერთი მიყვარს, ვინც გულში
ჩიტვიტვი შემოფრთხილდა,
ვინც დამწვა ტრფობის ალმურში
გულიც დაიპყრო მთლიანად...
სიტკობ-სიამე, გოლგოთაც
ერთად ვიგემეთ ორთავემ
და უბედობით ტანჯულნი
იმედით ვზრდიდით მოთალებს.
ზეცას ცვარ-წამად მომწყდარი
ჩვენს გზას ნაცრემლი აწინა
და დღემდე თუ ვართ ცოცხალი, —
ტრფიალმა გადაგვარჩინა...
ჩემს გულს კვლავ შუქად დაჰყვება
გულივით ანათროლოები, —
მე ერთი მიყვარს ამქვეყნად
და მის ტრფიალში მოვკვდები.

* * *

სათქმელს ვერავინ ვერ ამოწურავს,
ყოველ დროს თვისი მოაქვს სათქმელი;
ცაზე ახალი მთვარე მოცურავს,
თვის გზას არ კარგავს
სანთელ-საკმელი...
ყოველ დღეს მოაქვს სიტყე, სიტობო,
მაგრამ სიმწარეც მოაქვს ასევე;
მე ახლა ყველას საფიქრალს ვფიქრობ, —
არც გულს, არც კალამს აღარ ვასვენებ...
გაცრეცილია მზით შუქმომფენით
ნისლი ლეჩაქად მთას რომ ებურა,
ცვალებადია ნუთისოფელი, —
ახალ დროს მოაქვს წვაც ახლებურად.
სათქმელს ვერავინ ვერ ამოწურავს,
ყოველ დროს მოაქვს თვისი სათქმელი;
ცაზე ახალი მთვარე მოცურავს,
დგება ახალი კორიანტელი...
2013 წ.

პოეზია

თამაზ ფიფია:

„...მოსახდენი მოხდა უკვე — საქართველო გაბრწყინდება!“
(ციკლიდან „ძველი და ახალი“)



კაცის გონის ცისარტყელა პოეზიის გუმბათია!

ჰქუხს და ელავს გულის სიტყვა,
გაზაფხულის როგორც ზეცა,
ნაწივარზე ზეწათელი
გვიპაჭუნებს თვალებს მზეცა,
მშვენიერის შესაცნობად
მოიხიბლავი სურათია:
კაცის გონის ცისარტყელა
პოეზიის გუმბათია!
შიგ ბრწყინდება ჩირაღდნები
ვარსკვლავების ციურ თაღის,
საოცარი სიტუაციითა შემოგვცინის
მუზა ლალი,
უზესთაესს გამოხატავს
არსთგამრიგის სანდო ნება,
მსუბუქ ფრთებით როს გვიცავენს
სანეტარო შთაგონება!
სტროფითა თუ სრულის ლექსით,
მადრიგალით თუ სონეტით,
ღვთის ტაძრისკენ ნაბრწყინები
უნმინდესი გზა პოეტის
შემკულია სამსხვერპლოზე
ასაგზებზე სულის ცეცხლით
და უბორკლო სიმართლისთვის
თავდადების მწე ფიც-ვერცხლით.
სიყვარულით ამაღლება კრედო არის
უფლის რწმენის,
სულ ადვილად გადაურბენს მზიურ
სახეს ჩრდილი ნყენის,
პოეზიის კორიდაა უმთავრესი
მიზანსცენა,
ღამის მუქ-ლურჯ სივრცეებში თვალს
უსწორებს ვარსკვლავთცვენას.
უძილობით დამწვარ მზერით სათქმელს
დასწერს გულის სისხლის,
აქ ნაგრძობით დაზაფრული
მძიმე დარდის ლოდებს იხსნის,
სიკეთისკენ მოწოდებით სურს
პირნათლად იყოს ერთან,
მარადისი შემართებით დაეძებდეს
კალოს მზესთან!
მშვენიერის შესაცნობად
მოიხიბვლედი სურათია:
კაცის გონის ცისარტყელა
პოეზიის გუმბათია!
IV. 2013 წ.

გათენება!

შავი ქურქი გასძვრა ღამეს,
შემოსა დღე მზის სხივით,
გულსა და თვალს კვლავ ახარებს
კამკამა ცის ნამის მძივი.
— გაბრწყინებულ მთა და ბარის
საამური ხმიანობა,
წინაპართა დანაბარი
წრფელი ადამიანობა.
არსთგამრიგე ძალის რწმენით
მამულში მხნედ სიარული
და იმედით კაცურ გენის
სიცოცხლის მწე ჟრიაბული.
ახლა თავს ვგრძნობ ბევრად უკეთ,
უფლის მადლი არ ბინდდება,
მოსახდენი მოხდა უკვე —
საქართველო გაბრწყინდება!
X. 2012 წ.

ენაში სჭვივის უკვდავი სიბრძნე

უმდიდრესია ქართული სიტყვა
ქართლურითა და მეგრულ-სვანურით,
ცალკეულ კუთხეთ კილო-თქმაც მიყვარს
და მომწონს წერა
მხედრულ-მთავრულით!
ენაში სჭვივის უკვდავი სიბრძნე,
წინაპართ საქმით გამოხატული,
ქართული ზეცის უსაზღვრო სივრცე
ცისარტყელებით მიმოქარგული!
ქართლურია და მეგრულ-სვანური
ყველაზე უფრო ქვეყნად რაც მიყვარს,
მათგან გვებოძა გენიალური:
ქართული ენა! ქართული სიტყვა!
XI. 2012 წ.

ონწე

ჩემი ონწეა სამეგრელო, —
ლაკადის მთები,
მრწამსით და რწმენით, კოლხთ მზის
შვილი, ვარ ლაკადელი,
დროდადრო უკვდავ წინაპართა
ჩამესმის ხმები,
გულშიც მინთია მათი ხსოვნის
წმინდა კანდელი.
ონწეს მირწევადა კეთილშობილ
არსთა კრებულის,
პატიოსნების, ერთგულების
ვიყავი მონმე,
წარსული — ანმყო გულგონებით
გახდა ქებული,
ახლაც მამხნევეს სარწმუნედა
აკვანი: ონწე!
III. 2012 წ.

აიეტი, აფსირტე, მედეა...

ეს ლეგენდა — ისტორია,
სასწაულზე არის მეტი,
ჩანს წარსულის მისტერიად
დიდი მეფე, აიეტი!
ჰყავდა ვაჟი და ქალწული,
ორივენი ღირსნი მკობის,
შეეყარა მაინც წყლული
ბედისწერის კატაკომბის.
ყოფა უწნდა როს ედემად,
ღვთის საწილოც ედგა გობით,
ძე აფსირტე და მედეა
გახდნენ მსხვერპლი ვერაგობის.
ღვთისწიერი რომ ეგონა,
ის ბერძნები იყვნენ ფლიდნი:
ლალატის გზა მოწონათ,
სამოყვრონი დასწევს ხიდნი!
ოქროს საწმისს ანაცვალეს
უკეთური ზრახვა ხიზნის,
იაზონს ვერ გაამართლებს
სიდიადეც მისი მიზნის,
მასპინძელთა მზიურ სახელს
ვერც კი ჩრდილავს, რაც რომ მოხდა,
ვინაობა გმირთა ამხელს
ნათელ წარსულს მზის შვილ კოლხთა!
2012 წ.

ეპიგრამ-გამოცანებიდან: უსამართლო და ქოსატყუილა

ხალხის წყალობით ამაღლდა როცა
გამოიყენა გულბილიად ნდობა,
ისწავლა მხოლოდ მინაზე ფორთხვა
და შეიფარა მასონთა ყმობა.
უსამართლომ და ქოსატყუილამ
შემოიკრიბა ცბიერთა გუნდი,
მართალს დააცხრა ელვა-ქუხილად
და განადიდა საჩინოდ ბრუნდი!
სურდა ნულოვან ტოლერანტობას
ჩაეხსნა მოყმეთ მებრძოლი სული,
ჩვენს მოთმინებას ცდიდა რატომღაც
ეგ ანასხლეთი ბოროტეულის.
მიმტვევებლობა კარგია, მაგრამ
შინამტრისადმი ვიმსჭვალვით რისხვით,
დაგვაკარგვინა ცხინვალიც, გაგრაიც,
თანაც თითს გვიქნევს ცინიკურ რიხით.
თვალთმაქცობს ხოლმე კოცნით იუდის,
ერის ღირსების საქმით მქირდევლი,
არ გასწორდება ვით ძაღლის კუდი,
მამულის ფულზე გადამყიდველი.

„ოცნების“ მასთან თანაცხოვრება
უკვე შეკრული ბილწთან ზავია,
არ გვეღირსება ერთად ცხოვება,
ხალხის გვრგვინების ხმა რისხვის ზავია!
II. 2013 წ.

შეკითხვები „ნაცმოს“ მესვეურებს

რად ირქმევდით განგებ „ნაცმოს“
ეროვნების არმქონებნი?!
შენატროდით სვიან ანმყო
საქართველოს დამონებით?
ტკბილ მამულის საზიანო
უფლებებს რად ირქმევდით?!
არ გვესურს თქვენთან საზიანო
ნავები და თვით გემებიც.
სანამ ერი თქვენ გეტყოდით:
ყოფნას რატომ გვაშხამებთო,
რა გინდოდით, რას ელტვოდით,
ჯოჯოხეთის მამხალეებო?!

I. 2013 წ.

სიყვარულის ზავია!

გულში ზავი ავაგორე...
ჩავიმარხე, ვენვალე,
შემოველე შენს მთა-გორებს და
თოვლიან მწვერვალებს!
— ზღვის ნაპირებს ულაამაზესს, —
ცას და მინას მადლიანს,
— მოლაღანე მინდორ-ველებს,
ბარაქას რომ გვანვლიან;
— საქართველოს ერთგულ მოყმეს,
მუხლძლიერს და მკლავმგარს,
— ტკბილ მამულის ბრძნულად
მომვლელს, —
ვინც პატრონობს მონაგარს.
გულში, ახლაც დაგროვილი
ყვავილების ზავია,
შვილის გრძობით სრულყოფილი,
სიყვარულის ზავია!
XII. 2012 წ.

სიკვდილი რაა...

სიკვდილი რაა... ძნელი არის
ხანგრძლივად კვდომა,
როცა აზრს ჰკარგავს საწუკვარი
სიცოცხლის ნდომა,
— გონით და გულის პასუხითაც
უცხო, ეული,
მგლების საკბილოდ მიგდებული
სათუთ სხეულით,
ხარ გასაოცარ, შეუცნობელ
ბედილ წყეული.
სიკვდილი რაა... როცა მოვა
ამქვეყნად არ ხარ,
გარდაუვალად მაინც მოდის,
დღესა თუ რა ხვალ.
ძნელია, როცა გისახლდება
გულ-გვამში დიდხანს,
ტკივილით გჯიჯვნის, განვიხიბლავს
დილის მზის სისხამს
და ირგვლივ უნდო ბოროტება
ნაყოფს ხმირს ისხამს.
სიკვდილი რაა, თუკი გტანჯავს
ცხოვრება უფრო,
გარსშემოხვეულ ახლობლებშიც
თავს თუ გრძობს უცხოდ
წუთისოფელის მარაქაში
გხედავენ უფხოს.
ძნელია ლაფში იარო და არ
გეცხოს მნიკვლი,
ვირებში იდგე, გაოგნებულს
არ მოგხვდეს ნიხლი,
სიკვდილი რააა, იქნებ კიდევ
გიმზადებს ნობათს —
სულისმიერი გაბრწყინებით
ხელახლა შობას,
სააქაოში სხვა სხეულით
კვლავაც მოხმობას;
მაგრამ ძნელია, მინაც, ზეცაც,
როს ძალზე გიყვარს,
ამ სიყვარულის საპირწონე
ვერ დაძრა სიტყვა!
დაძრავ და გიტყვებს ბედი,
როგორც იაგუარი,
თანაგრძნობაზე თვით
სატრფოსგან გესმის უარი,
თუმცა არა ხარ უყისმაით
ბედთან მტყუანი.
დაგეკარგება აღსავალი მაინც მზესთანა
და უსაშველოდ გიბნელდება
ირგვლივ ქვეყანა!
საჭირო თუა, უნდა შეძლო
განირვა თავის,
იგუო ხვედრი საზვარაკო
მსხვერპლისა ავი,
ქვეყნის წინსვლისთვის გადმოიმხო
არყოფნის ზავი;
უფრო ძნელია უცქეროდ
მომხდურთა თარემს,
შენს სამშობლოში მართალთ
გმინვას ისმენდე მწარეს.

წარმოსახვა და სინამდვილე
თუმც სხვადასხვაა,
ჰო, ბოლო-ბოლო, ერთი კაცის
სიკვდილი რაა,
მაგრამ ძნელია, ის ერთი თუ
თვითონ შენა ხარ...
ყურუმ ქაოსის სიბნელეში
როს არ ჩანს გზები,
შემცივებული, გარიყული,
დარდისგან კვდები!
სიკვდილი რაა, ძნელი არი
ფრთაშესხმულ სურვილს
მარად მინას თუ მიგიჯუფთავს...
დარდებით ურვილს
უძლევი გვალვით გამოგიძრობს
სიცოცხლის წყურვილს
და რაგინდ სცადო, ავბედი
ალარ სწორდება,
სანატრელსა და სათაყვანოს
გული შორდება!
სიკვდილი რაა, ძნელია როს
დარჩები მარტო,
თავს ნაადრევად, უცილობელ
აღსასრულს ატყობ,
ცოცხალი ხარ და გულდაღრნილი
ცხოვრებას ნატრობ,
უმწნოს სულის გადარჩენის
არ მოგდევს ძალი,
უიმედობით ქანცვამცლელი
შეგიდგა წყალი.
სიკვდილი რაა, შერცხვენაა
სიკვდილზე მეტი,
როცა ავ-კარგის გარჩევას
თავს გესხმის რეტი,
ფლიდს ტაშს უკრავ და ძალა არ გაქვს
სიმართლის ჭყრეტის,
მღვრიე დინებას მიუყვები
არაკაცთ ნავით,
პატივისცემას თვითვე კარგავ
საკუთარ თავის.
გაზაფხულზე თუ შენი გულის
არ უკრავს სტივრი,
დამწუხრებული, უძვირფასესთ
გლოვობ და სტივრი,
გულზე ნიადაგ უამრავი გესევა ჭირი;
მამინლა იცი განწირულის
ხვედრის რაობა,
სიკვდილის წინ, რომ მოკვდავი
ხარ არარაობა!
მიუსაფარი, თავს გრიგალში
ვით იგრძნობ კარგად,
დაგზაფრავს, როცა მიხედები,
რომ ყველაფერს კარგავ;
თუმცა სიცოცხლის უაზრობა
უფროა ძნელი,
როცა სხეულში შეგქტება
სიკვდილი ნელი
და სამომავლოდ ნათელი დღეც
გახდება ბნელი.
სვემორჭმულობა, ტანსიმრთელე
ღვთისგან მადლია,
მაგრამ საწუთროს ნამ-წამ მზომი
გულის ადლია,
მისგან მყარდება დოვლათიან
ცხოვრების დარი,
როდესაც ძალგის ქვემარტად
იყო მდიდარი
და აირიდო ვერაგული დრონი სიგლახის.
სიკვდილზე ურვით, მწამს, არა ღირს
თავის ნამება,
ამაოებით საწუხარი არ დამდება,
ხამს შეეგუო ცხოვრება რომ
ასე მთავრდება,
წუთისოფელი უღმომელი
სისწრაფით მიჰქრის
და სჯობს საზრუნავს მივაჯაჭვოთ
დღიური ფიქრი.
მარად მშფოთვარე წრფელი
გულის არდანებებას
ველარ დაგიშლის გაუსადლის
დღეების წყებაც,
შემართებულად ბედთან ბრძოლა
როცა გგვრის შვებას,
ძნელია, მაგრამ უნდა იყო ისე ძლიერი,
სიკვდილთანაც მხნე, რაინდული
შეგრჩეს იერი.
ყველაზე ძნელი, დამერწმუნე,
მაინც ისაა,
როდესაც კაცი არც მინისა, არც ცისაა,
ველარც იხსენებს, რომ ყველაფრის
ნება ღვთისაა!
გულის მალამოდ, ჩვენთა ჭირთა,
არის უფალი,
მისგან კაცია სიკვდილშიაც
თავისუფალი!
P.S. სიკვდილი რაა, თუკი დიად
თავისუფლებას
მომხდური გართმევს, მოშობელ
ქვეყნის თელავს უფლებას,
ჯიქურად ბრძოლა უნდა შეძლო,
იქვე არწივად,
რადგან არც რამ სჯობს თავისთავად
სამშობლოს ხილვას,
კაცად არ ვარგა, ვინც მას ჭირში თავს
ველარ სწირავს!
2006 წ.

* * *

მას წინათ გასული წლების ყურნალ-გაზეთების დათვლიერებისას შემთხვევით წავაწყდი 2005 წლის 2 ნოემბერს გამოცემულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ გაზეთს სახელწოდებით „ცისკარი“.

8 წლის წინათ დაბეჭდილი ხსენებული ინტერვიუ ჩვენი ქვეყნისთვის ისეთ საჭიროებოტო პრობლემურ საკითხს ეხება, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს საზოგადოების ინტერესი და აქტუალობა.

ამხანაღ პარლამენტარ გუგე ცანავას ინტერვიუერთან ამ საუბრის გადმოხეჭდე დიხბა იქნება რაიონისთვის სასიქადულო პიროვნების ხსოვნისადმი პატივდება, მით უფრო, როცა წლეულის 17 ივლისის მისი გარდაცვალებიდან მეორე წლისთავი სრულდება.

რინოს კვარაცხელია

აქვს თუ არა რიონს და ტეხურს დედამტკვართან ხმის ამოღების უფლება?

ყველაზე ხმაურიანი განხილვა პარლამენტში ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ „ქარტიას“ მოჰყვა, რაც მცირე ენების: მეგრულისა და სვანურის რეგიონულ ენებად დაკანონებას მოიცავდა. მართალი გითხრათ, დღეს პარლამენტში ამ საკითხის მიმართ ერთგვარი არაადეკვატური დამოკიდებულება არსებობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ორულ პოლიტიკოსს და, მათ შორის, პარლამენტარ ბატონ გიორგი ცანავას, რომლის მოსაზრებასაც ქვემოთ ვთავაზობთ.

გიორგი ცანავა: — საკმაოთ არ უნდა იყოს, რომ მეგრული, სვანური და ლაზური ქართველური ენებია. ესათმეცნიერებაში განიხილება ისეთი ევროპელები, სადაც ისინი ქართულის წინარე, ანუ პროტოქართულ ენებად მიიჩნევა. ლევიან სანიკიძის თქმით, როგორც დიდი ბერძენი ერი შედგა სამი ნათესაური გვარ-ტომისაგან: ეოი-ელეების, დორიელებისა და იონი-ელეებისგან, ასევე ქართველი ერი შედგა ქართველისგან, მეგრელებისა და სვანებისგან. ამ ფაქტების ფონზე, დღეს არაჯანსაღი კრიტიკაა, იმასთან დაკავშირებით, რომ არის მცდელობა რეგიონალ ენად იქნას მიღებული მეგრული და სვანური. რადგან, როდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ამაში ხედავენ საშიშროებას ავტონომიის მოთხოვნისა. არადა, როგორ შეიძლება არსებობდეს ეს საშიშროება, როდესაც მეგრელები თავად არიან დამფუძნებლები იმ „შპს“-ისა, რომელსაც საქართველო ჰქვია. და როდესაც კოლხეთის ანტიკური სახელმწიფოს მემკვიდრე დღეს თანამედროვე საქართველოა. ლეონტი მროველის მიხედვით სწორედ კოლხეთისა და იბერიის შერწყმით შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო.

ფანიძის მიერ საქართველოს სამი ათასი წლისადმი მიძღვნილ სტატიას დაუპირისპირებდი. სადაც იგი არგუმენტებით ასაბუთებს, რომ არა დიახი და ტაო, არამედ კოლხეთი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის სათავე, და რომ ეს იყო რიონის ნაპირებთან, სადაც იჭრებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი, უძველესი მონეტა — კოლხური თეთრი, არსებობდა რიტორიკული სკოლა. ისტორიაში ორი ათასი წლის იქით იბერია არ ჩანს და ამ სამი ათასი წლიდან ათასი წელი სწორედ კოლხეთი იყო სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი.

დღეს კი, ეს არ იცის ქართველმა. — ქართველმა ის თუ იცის, რას ნიშნავს თვითონ ეს ტერმინი — ქართველი. რომ ის მიიცივას თავის თავში მეგრელსაც, კახელსაც, სვანსაც, რაჭველსაც და ასე შემდეგ, ანუ ქართველი არის ზოგადი სახელწოდება.

— რა თქმა უნდა, ქართველი კრებითი სახელია და შეიძლება მისი ფუძეც მეგრული წარმოშობისა იყოს. რადგანაც „ქართი“ მეგრულად თბილისსაც ნიშნავს და საქართველოსაც. როდესაც პარლამენტში მიდიოდა განხილვა „ქარტიას“, ქალბატონი ია მუხრანელი გამოვიდა და შეახსენა დარბაზს ცნობილი ვერსია ბაგრატიონების სუპრიდან წარმოშობის შესახებ, ანუ ის, რომ ბაგრატიონები იყვნენ ლაზები. რამაც დარბაზის გაღიზიანება გამოიწვია, რადგან მათ ურჩევნი თა ბაგრატიონები იყვნენ ბაგრატიუნებიდან, აშოტიდან და გურგენიდან წარმოშობილი, ვიდრე ლაზებიდან. ასეთი მიდგომა ჩემთვის გაუგებარი არის. თან ამას ასე დანვრისებით იმიტომ გიყვებით, რომ მინდა დაგარწმუნოთ, არავითარი საფუძველი ავტონომიის მოთხოვნისა არ არსებობს.

— მაგრამ არსებობს შიში...

— ეს შიში ხელოვნურადაა შექმნილი, რის გამოც ვერც ეკონომიკურ პრობლემებზე იტყვი ვერაფერს. როდესაც პარლამენტში სამეგრელოში არსებულ პრობლემებზე ვაყენებ საკითხს, კული-სებს მიღმა ლამის სეპარატისტად მნათლავენ. მსაყვედურობენ, რატომ აყენებ მთლიანად სამეგრელოს საკითხსო და მოითხოვენ, მარტონალენჯიხით შემოვიფარგლო. არადა, პრობლემები ყველგან ერთია. მაგალითად, მე ვაყენებ სამეგრელოს გაზიფიკაციის საკითხს, რადგან გაზი მიდის ცხენისწყლამდე, აქვს სამტრედიას, მაგრამ არა აქვს აბაშას, სენაკს, ზუგდიდს, წალენჯიხას. ვკითხულობ, რატომ არ უნდა ჰქონდეს გაზი სამეგრელოს, როდესაც ეს არის კომერციული პროექტი და იგი იყიდება მომგებიანად? თანაც მეჩაიებოდა, როგორც დარგი, გადარჩებოდა, რადგან ძალიან ძვირი ჯდება, ენერგოტივადია

ჩაის ხმობისა და ფერმენტაციის პროცესი. გაზი რომ იყოს, ტყეებიც გადარჩებოდა გაჩეხვისაგან. ამ საკითხებს სხვა რომ არ აყენებს, მე ვაყენებ პარლამენტში და ესეც დანაშაულია. საბავშვო ლექსისა არ იყოს: „ხომ არავფერს აშავებენ, მაინც დანაშაული!“

— ეის აწყობს ასეთი დამოკიდებულება სამეგრელოსადმი?

— ეს აწყობს არსებულ ხელი-სუფლებას. ჩვენი მთავრობა დღეს ცენტრალიზებულია. თუ დავეუბნებთ თვითმმართველობას იმერეთში, მაშინ სამეგრელოს რა ვუყოთ, ისიც ხომ მოითხოვს ამას? მე რე იქ რომ სეპარატისტები მოვიდნენ, ხომ დავიღუპეთ?! აი, ასეთი დამოკიდებულება არსებობს დღეს თვითმმართველობისადმი საქართველოში. სავალალო ისიც არის, რომ ამ თვითმმართველობას მოჰყვება მეორე კანონი, რომელსაც ახლოვნი არა აქვს მთელს მსოფლიოში, ეს არის კანონი ზე-

მის შესანარჩუნებლად. არადა, საუკუნეების განმავლობაში სულაც რომ არ გვიცდია ბრძოლა, ისედაც გადარჩა. ამდენად, იქნებ ტყუილად ვტყუბთ განგაშს?!

— არა, ენის გავრცელების არეალი თანდათან მცირდება. ლაზური საერთოდ გაქრობის ზღვარზეა. თანაც მეგრულსა და სვანურში არ არის მარტო პრობლემა, აქედან ერთი ნაბიჯია ქართულამდე და, შესაძლოა, მასაც იგივე ბედი ენოს, რაც გაუფრთხილებლობით შეიძლება მოუვიდეს მეგრულსა და სვანურს. ანუ კონცეფცია, რასაც ჰქვია ქართული სახელმწიფო, ამ ხელისუფალთ კარგად არ აქვთ გაგებულები. დღეს ვამბობთ, რომ არის გლობალიზაციის პერიოდი და ინგლისური უნდა ვიცოდეთ ყველამ. ვინცებთ ქართული ინგლისური აქცენტით ლაპარაკს, განსაკუთრებით თინეიჯერები აქტიურობენ და ასე ვმორდებათ იმას, რასაც უნდა

სიძულვილითა და დამცინავი ირონიით აღსავსე, სამეგრელოს და მეგრელების დამამცირებელი წერილები და ლექსები...

დიდუბის პანთონში, „მურმანის ეკალიით“ ამოზრდილ ლეზანიძის საფლავის ქვის ახლოს რამოდენიმე უღრისმაც დაიდო ბინა. რალა თქმა უნდა, დიდუბეში ღირსეულნიც განისვენებენ (მათ შორის ორი დიდი ობუჯელი — სახელგანთქმული კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელია და სწორუპოვარი ისტორიკოსი შოთა მესხია), ამიტომ გულსატკენია და ღირსეულთა ხსოვნის შეურაცხყოფელიც, რომ სამშობლოს ცოდვით სავსე ხელისუფლებამ ასეთი მკრეხელობა დაუშვა!

ვინ იცის, იქნებ ამაზე მიანიშნებდა ანგარდაცვლილი, დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოტია იოსელიანი, რომელსაც თურმე სიკვდილის წინ დაუბარებია: როცა მოვკ-

დამხედველობის შესახებ, როდესაც რომელიმე სამინისტროს, ვთქვათ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს უფლება რაღაც მოსთხოვოს ან შეამომოს რაიონულ მმართველობაში.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მხოლოდ პრეზიდენტი ნყვეტს ყველა საკითხს?

— დიახ, ისე როგორც ლუდოვიკო მე-14, რომელიც ამბობდა: „სახელმწიფო ეს მე ვარ!“ მინდა მოვიყვანო თუნდაც მარტვი მაგალითი, — როდესაც წალენჯიხის სოფელ ზღვაიაში აქციები იმართებოდა წყლის უქონლობის გამო, ბატონმა პრეზიდენტმა მკაცრად განაცხადა: წალენჯიხაში წყალი რომ არ არის, ეს მე ტელევიზიით რატომ უნდა გავიგო. ე.ი. პრეზიდენტი აგვარებს რომელიმე სოფლის წყალსადენის საკითხსაც. ეს ხომ აბსოლუტური ცენტრალიზმია. ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის პოსტიც ხომ ამ ცენტრალიზმს შეენირა, რადგანაც იგი დამოუკიდებლად, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე იღებდა გადაწყვეტილებებს.

— მოდი, დაუბრუნდეთ, ისევე რეგიონული ენების საკითხს. რატომ თვლის ევროსაბჭო საქიროდ, რომ მცირე ენები არ დაიკარგოს?

— ამ მცირე ენებში კოდირებულია ბევრი ისეთი რამ, რაც ჯერ ვერ გავგიშორავს და ამის დაკარგვა კაცობრიობისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ეს „ქარტია“ მიიღეს არა იმისთვის, რომ სვანებსა და მეგრელებს რაღაც ამბიციები გაუჩინონ, არამედ ენა გადაარჩინონ. რადგან 50 წელიც არ უნდა, რომ მეგრული დაიკარგოს. და თუ საქართველო დაუშვებს ამას, ეს იქნება დიდი შეცდომა. ამდენად, მივიჩნევ საქიროდ სკოლებში მეგრულის, თუნდაც ფაკულტატურ სწავლებას, ქართველური ენების საფუძვლების შემოღებას, რათა ქართველს არ ესამუშებოდეს მეგრულისა და სვანურის მოსმენა და ლებანიძესავით არ ეძახდეს მას „მიჯღარკულ-მოჟღარკულს.“ ეს პანელიები აცხადებენ, ჩვენი ბედნიერება მრავალფეროვნებაშიაო. ჩვენ კი ვთვლით, რომ ეს ჩვენი უბედურებაა. რადგან გვინდა, რომ ყველაფერი გავხადოთ ერთფეროვანი და მალე მოხდეს მეგრულის ასიმილირება ქართულთან. როგორც ამაზე ქუთაისის გუბერნატორი სრულიად სერიოზულად ამბობდა, რომ მეგრელებთან საქიროა ფრთხლად ყოფნა, რადგან ჯერ არ არიან ასიმილირებულინი.

— მეგრულმა და სვანურმა ენამ გამაიარა საუკუნეები, შეიძლება ლექსიკაში რალა დაიკარგა, მაგრამ დღემდე მაინც მოაღწია. ე.ი. რალაცამ გააძღებინა. დღეს კი ჩვენ გვეშინია და ვიბრძვით

ვუფრთხილებოდეთ. ცენტრალური, ადმინისტრაციული გზით ქართლის სახელმწიფოდ წარმოსახვა შეცდომა არის, ამაში დღეს მთელი უბედურება. ამიტომაც არის ეს სახელმწიფო არმემდგარი სახელმწიფო. ასეთი მიდგომით შევექმნით, ხელოვნურად, აფხაზური პრობლემა, ანუ იმის გამო, რომ ვერ ვუპატრონეთ მეგრულ ენას, მეგრელებს, სამეგრელოს წარმოუშვით აფხაზური ამბიციამ, ეს მოხდა ნახევარი საუკუნის უკან და არ დაგვავინყდეს, რომ სანამ აფხაზეთში შევდიოდით, სამეგრელოს გადავუარეთ 5-6-ჯერ, რადგან იქ დავინახეთ პრობლემა და თუ ამ პრობლემას მოვხსნიდით, გვეგონა, რომ თავისუფლად ვიპარპაშებდით აფხაზეთში. შედეგად კი მივიღეთ ყველასათვის ცნობილი მოვლენები. ანუ თუ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება ამ გზით ნავა, ეს აუცილებლად დამთავრდება ქართული სახელმწიფოს საბოლოო დაშლით. ამდენად, ვინც ფიქრობს მეგრული ენის ჩახშობით თუ ასიმილირებით ქართული სახელმწიფოს განმტკიცებას, ის მწარედ ცდება. მე მეჩვენება, რომ აფხაზი უფრო ადვილად დალაპარაკება მეგრულს. დღეს გალში გამოდის მეგრული გაზეთი, იქმნება ბატალიონი მეგრული სახელწოდებით — „ჯიმა“. ქართული სახელმწიფოებრივი კონცეფცია კი ვერ მივიდა იქამდე, რომ მეგრული ენა გამოყენებულ იქნას ქართული სახელმწიფოს განმტკიცებისთვის და ისევე ხელს კვლავ აფხაზურ სეპარატიზმს ვუხსნით. მეჩვენება, რომ ყველაფერი ძალიან შეგნებულად და გაზრებულად კეთდება, რათა საბოლოოდ დაიკარგოს ეს კუთხე. რადგან ის სამასი ათასი ლტოლვილი, რომელიც არჩევანის წინაშე იდგა, ერთის მხრივ „ჯიმა“-აფხაზი და საკუთარი სახლ-კარი, მეორეს მხრივ კი ქართველობა, რომელიც თავს სწირავს და ქართველობისკენ აკეთებს არჩევანს. და ასეთ გმირ ხალხს, ლამის სეპარატისტები ვუნდოდით, ეს ხომ ნამდვილად არის მიზანმიმართული პროვოკაცია და მეტი არაფერი?!

ესაუბრა ნინო ნაჭყებია.

„ნოჯიხურის“ რედაქციისაგან: ამ ინტერვიუმ გავგასხენა მეგრელთმოდულე მ. ლებანიძის ორი პასკვილი: „ცოტნე გამყიდველი“ და „მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი“, რომელთა გამოქვეყნებას გაზეთის მკითხველები კარგა ხანია გვთხოვენ...
ჭემარტიამა მამულიშვილებმა თავის დროზე საკადრისი პასუხი გასცეს ლებანიძის ნაცოდვილარს, ვინაიდან მაშინ რესპუბლიკურ პრესაში მძლავრობდა

ვდები, დამასაფლავეთ მშობლიურ გვიშტიბში და არავითარ შემთხვევაში დიდუბეში, რომელიც კარგა ხანია ჩვეულებრივ სასაფლაოდ იქცაო...

და ბოლოს თანამედროვე ლეზანიძე — ლაზანიძეებს შევახსენებთ მარტვი ჭემარტიებას: შხამის მთესველი შხამს იმიკიან, ბიძიებო!..

ცოტნე გამყიდველს

— ხომ არ ნამოხვალ შენ ჩვენი თან ომში? — იქ, ჩვენს ტაბლასთან, ანაზდად გკითხეს. ფუჰ! აგვერიე კამბეჩი ლომში და... ჩვენს სამშობლო ჩაგრიცხეთ იმ დღეს. კაცად გიცნეთ და გაგანათლეთ ტომში, გატყუებ პური, ასწილ ქიქაც. მართალი იყო ერთი სპა ორში, შენ კუდს იქნევედი აქაც და იქაც. სველი გაქვს ლანჩა სივალახის ტბორში, — ან შენი გზები სხვაგვარად მიდის: იუდას ვერცხლი მოგართვეს ხონჩით, შუა ჩაგვიდის მდინარე — მოვრჩით, ჩატყვილია ბურჯები ხიდის!

მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი

ვით დედა მტკვართან ჭოროხს და ენგურს, რიონს და ტეხურს, იორს და არაგვს, აგრეთვე ენას, — ქართულთან მეგრულს ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს... თქვენ ღუმმანს სიტყვა უქციეთ საქმედ, თქვენ სხვა აღძრით თქვენს მარტივ გლეხში, ვაი, სირცხვილო, რუსთველი თარგმნეთ! მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი. აღარ ვაგრძელებ ამაზე სიტყვას, ვართ ჩვენ ორი ძე ხომ ერთი დედის, — საქირო გახდა და ერთხელ ითქვა, საქიროება ნუმც გვექნეს მეტის!

„ცოტნე გამყიდველი“-შ, „მიჯღარკ-მოჯღარკეთ“-იმ ავტორს დო თიმ შურიშვიან ჯიმაშ — შარაშ აბრაგის*

დიდუბესე ხოლო — ხოლოს მითოჯღარკეთ შირხოლო, ცოტნე ამარ, ცაშა ონჭე ბომკოჩანამ სიმბოლოთ...
რამაშ კუპარა



*შარშან აბრევი — იგულისხმება „რამკიანი“ ქურდი, სამეგრელოს ჯალათი — ჯაბა იოსელიანი.

მურმან ლებანიძე (მიხა წნორელის ეპიგრაფიდან) — სად დაიკარგა მურმანა — გოგოლის ქუჩის ჯიგარი,

ორ სკამზე მჯდომი პოეტი, სახელოვანი ციგანი? — შეუძვრა შევარდნაძეს და ამბობენ, ახლაც იქ არი... თან პატრიოტიზმს და თან ფეხს ბელადისაკენ მიითრევს, ერთგულთა სიაში ჩასვებს და პატრონობენ სიითვე — რასაც ასმევენ — ყლურწავს და რასაც აჭმევენ მიირთმევენ...

მონურად ნუ იკაკვები, ნელგამართულმა იარე! (ამ ლექსს წნორელი ერთ ჩინოსან „ნიკანდროს“ — მ. ლებანიძეს უგზავნის) დრო მართლა გამოიცვალა, ჰოდა, შენ, ჩემო ნიკანდრო, ბევრი რამ, როგორც იტყვიან, შენც აღარ უნდა იკადრო!

ასე სჯობს, ჩემო ცრუ ლომო და ხელოვნური გიგანტო! ქვეყანა ინგრევი-იქცევი, მენ რად აგიტყდა გალობა?! ხვალ ვერ იძალავებს ეშმაკი, ვითარცა დღემდე ძალობდა და შარშანდელი თოვლივით გაჰქრება მისი „წყალობა“. ცეცხლი მოედო ჩვენს სახლ-კარს, ცეცხლის გრიგალი გრიალებს,

თვალს ნუ არიდებ მეომრის მკერდზე გაჩენილ იარებს, მონურად ნუ იკაკვები, ნელგამართულმა იარე! მოკლედ, შენ ჩემო ნიკანდრო, ისედაც და ესედაც, ჩამოგქნათ „პოლიტიკოსმა“ მლიქვნელებად და ქლესებად, კაცს რას უშველის ჩინები, ნამუსზე თუა ქესეტად?!

ლ მ რ ს ე ფ ი



გიორგი სიჭინავა

მკითხველს ვთავაზობთ გიორგი სიჭინავას ლექსებს, რომლებიც მეგრული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებია! ასევე, ამ ლექსების ქართულ თარგმანს, რომელიც ეკუთვნის პოეტ დედმ კვირიციას.

რინა მოკო პელაზგური ინა შხვანერი თოლით მორწყე, გვალო შხვანერი ელაძ გური, მიბურჯულანც გოთანაშა მა სისმარეფი პელაზგური.

ეგრე ინგარც პირამიდა დო ათავრე კელასური დო ვამოთხუ გოთანაშა მა სისმარეფი პელაზგური. ინგირი დო ცხენწყარი შქას ქენიფხვილ დო ქელაბლური; ფსუაში გოფარუა მოკო, რინა მოკო პელაზგური!

ყოფნა მინდა პელაზგური იგი სულ სხვა თვალთ მხედავს, სულ სხვაგვარად უძგერს გული, და მახორგებს მთელი ღამე მე სიზმრები პელაზგური. იქით ტირის პირამიდა, ხოლო აქეთ — კელასური, არ მეშვება მთელი ღამე მე სიზმრები პელაზგური. ცხენისწყალს და ენგურს შორის მომწყვედულა ჩემი სული, მე კი ფრთების გაშლა მინდა, ყოფნა მინდა პელაზგური!

შურობუმუ შურობუმუში მინდორეფც შურიშა შარეფი გაფუ ნალი, მიქ მერკვათუ ფსუაღეფე მურიცხეფუ მაფურნალი. სქან ოცქეფაფურ ისტორიას ხეჭურელო მუკურექ, გოლანერი კოლხიში სქუა ამდლა ჭიჭე ძუკუ რექ. ქოგურაფუქ აგაგას, უჩხონჩხე დო უგურეს; თელეფნკემა რგორი, მარა

ლეგენდეფმა მონურეს. სქან დინაფას თე ქიანას შური მითინ ვანარლენც, ბორო რექ დო ეშმაკის გიძახუნა გამალეთ. დოლურიდა, მუ გინუა, მეტის ვადობანდლუანქ, გოცქევენი, გვალო ქედგარულ, ეგებ მოირთას ლანძლუაქ.

სამშობლო მშობლიური ველ-მინდვრებით სულის გზები გაქვს ნარბენი, შეუჭრიათ შენთვის ფრთები, ვარსკვლავეთში ასაფრენი. გულზე ხელეზდაკრეფილი გასცქერი შენს ისტორიას, დიდებული კოლხეთის შვილს დღეს სანყალი ძუკუ გქვია. დამესგავსე მოჩვენებას, უგულუო და ცოცხლადმკვდარი, ან ცოცხლებში სად გექებო, ლეგენდების ბინადარი. შენს დაკარგვას არვინ დარდობს, არც ყოფილხარ ქვეყნად თითქოს, ბოლომდე რომ გაგაბრიყვონ, გეძახიან ეშმაკს ვითომ. მეტი რალა უნდა გითხრა, გადავყევი დარდს და ფიქრებს, ტკბილმა სიტყვამ დაგაძინა, მწარე სიტყვამ გარგოს იქნებ.

მეტყურეფიში ქიანას მეტყურეფიში ქიანას ბულც ნიღნა იანარც, შური ბირგული ქეგორგედა

ულაქ ვადგეგვიანას! ბულიში ამბე ამჭუანი გასიმუეს ციორით, ასე ირ კორი კარანჩამო გილერულე ხიოლით. ჟი ზოჯეს: — „ტყურეფიშა მართალი ვამიწყურუათ, კათაქ ოკო დოშურდას ვარენე თიში გორუათ!“ ღორებულეფი ონჯუაშა ტყა დო გვალას იღენდეს... ჭუმე ხოლო ვემიარკენა ათეჯგუა იმენდეფც!

ტყუილების ქვეყანაში ბალსა კრეფენ იანვარში, ოდნავ მუხლი თუკი გერჩის შენც ჩაუდექ, მაგათ კვალში. ბლის შესახებ „კურიერმა“ ხალხს აუნყა დღეს ეთერში, ახლა ყველა ტყეში გარბის კალანხით და ჩანთით ხელში. ზემოთ ბრძანეს: ტყუილებში სიმაართლე არ გაიპაროს, ამ ამო რგენა-ძებნით ხალხი უნდა დაილალოს. ჰოდა, დარბის ტყეში ხალხი დასაკრეფად პანტა-ბლუბის, გვალაქ აღარ მოაკლდებათ ასეთივე იმედები.

ჩქიმი ღურა ნოკობუე ჯგირობუა მუთა ბძირი დო მუთ გაგიხარა გური, უჩა ზღვაში წყარც წყათუნცე აიტიში ჩილაშური. მა თი რჩქინას გივაყუნი,

მუთ ჩქიმ ჯვეშიქ მოგურუნი, მარა ვამიჩქ ელახუშე ჯიმა მუშენი მონდურუნი. ამდღარ დღაშა ვეშმატყეინგ მუ პატონეფი ოსურუნი, დუდ სომეხშა მიკუძუ დო ლაზ-მარგალშა ომქურუნი. ათეჯგუაში მაძირაფუს, ნოტე თოლეფ დომეკურუნი, ჩქიმი ღურა ნოკობუე, უჩა შარა მონურუნი. ვანოჩქვენო, წყარიცალო დონენც რკინა, გონდლულუნი, საქორთუო ვეყუაფე, სამარგალო დოლურუნი.

სასიკეთოს ვერ-რას ხედავ, ველარც გულის ტკივილს ვმველი, შავ ზღვას ერთვის ნაკადულად აივტის მლაშე ცრემლი. მე წინაპრის ადათს ვიცავ, მაგრამ ველარ ვხვდები მიზეზს - ლხისიქითა ძმაი ჩემი უცხოსავით რატომ მიმზერს. ვერ გავიგე რა სენი სჭირს, ვინ დაუხშო ჭკუა-გრძნობა, მეგრელს თავის ძმად აღარ თვლის, ურჩენია სომხის ძმობა. იმაზეც არ იდარდებდა, რომ მიხილოს ერთ დღეს მკვდარი, ამის მნახველს მერჩივნა, რომ დამესებოდა ორთავ თვალი. ნუთუ მართლა არ იცის, რომ ცეცხლში რკინა-რვალი დნება, სამეგრელო თუ მოკვდება საქართველო არ იქნება!

ჩვენ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“

17 ივნისი — „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე საქართველოში!

21-ე საუკუნეში ცხოვრებამ ქართველი საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. არავისთვის არ არის საიდუმლო ის, რომ მოგვერდ ეროვნული ფასეულობების ხარჯზე მოინწყეს ნიწულეზი, ხშირად მიუღებელი რამ. ბევრი, ძალიან ბევრი რამ შეიძლება ითქვას შოთა რუსთაველზე, მისი დიდებული სულის გამობრწყინებაზე. „მინც მეჩვენება ხოლმე, გადავგვალ გორაკზე დგას. ვეება, ქუფრი, ერის მოძღვრის მაღალი ჯოხი უჭირავს და გადაჰყურებს მიდამოს“ რევაზ ინანიშვილისეული ეს ფრაზა სიფხიზისკენ მოგვიწოდებს, დღევანდელმა ქართველებმა არ დავკარგოთ „ვეფხისტყაოსანი“, არ გაგვიუცხოვდეს მისი იდეები, არ შევბღალათ მისი სინამდვილე... თუნდაც იმის გამოც, რომ რუსთაველი ყველაზე ხმაამალა მეტყველი პოეტი, სიჭიმეში და განრიდების ჟამსაც რომ ჩავგახიხ: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა... რუსთაველში ბორგავს ჩვენი დაუოკებელი სისხლი, რომელმაც ბრძოლებით, უღეტით, დაჩოქებით და ისევე გამირული ნამოღვრებით გამოიარა ათეულობით საუკუნეები და მოვიდა ჩვენს დღეებამდე... ჩვენ კი... თანამედროვე პედაგოგიური თეორიების მიმდევრებს, „გვეშინია“ ზეპირად ვასწავლოთ „ვეფხისტყაოსანი“, არიქა, თანამედროვე ვიყო და არ ჩამოვრჩეო... ეს სადავო თემაა, ტექსტების გაუზარებელი დაზოხების წინააღმდეგ, ცხადია, ვართ, მაგრამ თუკი მოსწავლემ სკოლის ასაკში არ დაიმხსოვრა ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“, არ გაითავისა და სისხლად არ აქცია იგი, მერე, ცხოვრების ზვირ-

თებს შერეული, აღარასოდეს გადაშლის ამ ნიღს, ვერ იგრძნობს მის სილამაზეს, ვერ ჩასწვდება სიბრძნეს, სიდიადეს ვერ შეიმეცნებს და გურამ დონაშვილისა არ იყოს „უმონყალოდ გაისრისება მისი სიმძიმის ქვეშ“. სწორედ ამგვარმა მიდგომამ „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ გამოიწვია ის, რომ სკოლა „ქიანაში“ ფეხი აუნყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მწერალ დათო ტყარაშვილის მიერ გახმოვანებულ ინიციატივას — 17 ივნისი ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე. ეს რამდენიმე წელია გრძელდება და უკვე ტრადიციად იქცა. წელს ერთმანეთის დავას გადაყოლილმა ქართველებმა, ეტყობა, ასეთი „პატარა“ საქმიანობის ან არ ვერ მოიცალეს, თუმცა „ქიანაში“ ჩვეულებისთვის არ უღალატიათ. „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას, ბუნებრივია, წინ უძღოდა ნიგნის ხელში აღების, კითხვის ტექნიკის დახვეწის, გააზრების, დაფიქრების პერიოდი, ...ეს იყო ღწვა და შრომა, რომელთა გარეშე მიზნის მიღწევა შეუძლებელია. პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ჩვენმა მეგობრებმა მარტვილიდან, კულტურისა და სულიერების დიდმა ქომაგებმა — კახა კვეციელავამ და გიორგი სარია. კახა პროფესიით ექიმი, ის ამ საპატიო საქმეს ემსახურება მარტვილის რაიონში, აქვს კერძო კლინიკა, ეწევა ბიზნეს საქმიანობას, სწორედ მან „გაგვაცნო“ ნალენჯიხელებს გიორგი სარია. ეს უკანასკნელი ჩვენი რაიონის მკვიდრია, სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ის მარტვილის ახლოებულ სოფელ ინჩხურში ამბროსი ხელაიას სახელობის კულტურისა და სულიერების ცენტრის ხელმ-

ღვანელია, მეფე პეტრეს შემწეობითა და მეოხებით გიორგი ჭეშმარიტად დიად საქმეებს არის შეჭიდებული ჭყონდიდის ეპარქიაში. რამდენიმე ხნის წინ მათი მოწვევით პოეზიის საღამოზე, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ მთელი საქართველოს წარმომადგენლები, იყვნენ ყველა თაობის ადამიანები, განსაკუთრებით, გამოირჩეოდნენ ახალგაზრდები. ღონისძიებას ესწრებოდნენ მეფე პეტრე და სხვა სასულიერო პირები. იყო ქართული სულის ზეიმი — სიტყვა და ლექსი. განსაკუთრებით დავგამახსოვრდა რამდენიმე მათგანი: დათა ბესელია — ნოსტრის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე, თავისი ფაქიზი და სულისშემძვრელი ლექსებით. (დათა ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“). აუდიტორიის ყურადღება მიიპყრო ირაკლი დვისაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლექსების წერისას სულ სხვა ადამიანი ხდება, რეალურისგან სავსებით განსხვავებული. იყვნენ ქუთაისელი ახალგაზრდა ბიჭები, რომელთა მიერ წაკითხული ლექსების მოსმენისას იგრძნობდი როგორ მხურვალეს ძარღვებში ქართული სისხლი, რომ ასეთ გენებს გადაშენება არ უნერია. „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ხალხი ყოფილიყო ქართული სულის ზეიმი, იქ, სადაც იბატონებდა ქართული სიტყვა. ასე უფებდა „მუქთა მოვანება“, ისეც მოხდა, თუმცა ქუთაისელი ბიჭების ჩამოყვანა ვერ მოვახერხეთ. დიდიდან იყო ფაციფუცი სკოლა „ქიანაში“. სკოლის დირექტორია, ამ პროექტის ხელმძღვანელი, ქალბატონი ვარო კვარაცხელია, რასაკვირველია, ღელავდა. პროექტში მონაწილეობას ღებულობ-

და 100-ზე მეტი მოსწავლე და თითქმის ყველა მასწავლებელი. სტუმრებიც მოვიდნენ. დათა ბესელიას ჩამოყვანენ მშობლები — ცნობილი პოეტი ვალერი ბესელია და მისი მეუღლე ნანა მიხაშვილი, იყვნენ მარტვილიდანაც — კახა კვეციელავა, გიორგი სარია და ირაკლი დვისაძე... ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და საზოგადოება „ნალენჯიხელის“ წარმომადგენლები... იყო საოცარი მღელვარება... მოსწავლეები, პირველკლასელთა ჩართვით, კითხულობდნენ ამ დიდებული პოემის უკვდავ სტრიქონებს, კითხულობდნენ გრძობით, ზოგჯერ ჩუმად და ხმის კანკალით, მკაფიოდ და შთამბეჭდავად, მიუხედავად ყველაფრისა, კითხულობდნენ გულით, იმის გააზრებით, რომ „უფულო კაცი ვერ კაცობს, ღმრთისაგან განაკიდა“. კითხულობდა ყველა: მასპინძელი და სტუმარი... (თუმცა მეტი ჩართულობა საზოგადოების მხრიდან მისასალმებელი იქნებოდა). ეს დღეც დასრულდა... ერთმანეთს დავემშვიდობეთ „მომავალ კითხვამდე“.

თუკი სერვანტესს მთელი ეს-პანეთი ერთ დღეს კითხულობს, რატომ არ შეიძლება ჩვენ, ქართველებმა, ერთი დღე ვუძღვნათ „ვეფხისტყაოსანს“, ერის სულიერი ენერჯის შემკრებ წყაროს, მანამდე არსებული ფილოსოფიური აზროვნების განმაზოგადებელს, ენის უმდიდრესი შესაძლებლობების გამოხატველს, შემდგომ საუკუნეებში ქართული კულტურის დედაბოძს და, რაც მთავარია, აღმოსავლური რენესანსით მსოფლიო რენესანსის სათავეებთან მდგომს. დიხაზაც, ჩვენ ვცდილობთ ეს დღე თბილისიდან რეგიონებში გადმოვიტანოთ. ჩვენს სკოლაში დანყებითი კლასიდანვე მასწავლებლები თანამედროულად, სტროფ-სტროფ ასწავლიან მოსწავლეებს პოემიდან მნიშვნელოვან ადგილებს. ეს ჩვენი სკოლის ტრადიციაა. ეს ტრადიცია მე-5 წელია გრძელდება. აქედან გამომდინარე ბავშვებს საკმაო რაოდენობის სტროფების ზეპირად ცოდნა დაუგროვდათ. ისინი სცენაზე ავიდნენ და აუდიტორიის წინაშე საკუთარი თავი წარმოაჩინეს მხოლოდ თითო-ორი სტროფით (ღონისძიება რომ არ გაჭიანურებულიყო, ასე ჩავთვალეთ საჭირო). იგულისხმებ, რომ სათითაოდ თითო მოსწავლესთან ამ თითო-ორი სტროფის უკან დევს მინიმუმ 20-დან 100-მდე სტროფის ზეპირად ცოდნა. 17 ივნისს კიდევ ერთხელ უნდა შევუძახოთ ქართველობას: ქართველებო „ვეფხისტყაოსანზე“ გავზარდოთ ჩვენი შვილები.

ვარო კვარაცხელია, საერო საშუალო სკოლა „ქიანის“ დირექტორი.

ასმათ ვვარაცხელია სკოლა „ქიანის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

17 ივნისს ყველა ქართულ ოჯახში უნდა იკითხებოდეს „ვეფხისტყაოსანი“. 17 ივნისს ყველა დანესებულეობაში, საგანმანათლებლო იქნება ის თუ სხვა მიმართულების, სიბრძნით დამუხტული 16 მარცვლიანი შოთას შარია უნდა ისმოდეს.



ნინო კვიციანი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოვოზიური“ № 18, 19, 20, 21, 22).

შეზარებულ მებრძოლებს ქეიფი გრძელდებოდა. თენგი კვლავ ფეხზე იდგა და მორიგ სადღეგრძელოს ჩვეული რიხით ამბობდა: — ჩემო ძვირფასო ადამიანებო! ჩვენი სასიკვდილო მწერლები, პოეტები და გენიოსებიც არ აძლევდნენ თავს იმხელა უფლებას, რომ თავიანთ დიდებულ შემოქმედებაში ვაზი და ვაზის მომყვანი დაევიწყებინათ. არც ჩვენ გვაქვს უფლება, მხოლოდ ასფალტზე მოსიარულე ხალხი გვახსოვდეს! მოდით, იმ გლეხს გაუმარჯოს, ვინაც ეს ღვთიური სიტყვა ჩვენამდე მოიტანა. ხომ არი სიტყვის თავისუფლება, ხომ ვცხოვრობთ დემოკრატიულ საქართველოში? „ჩემი ცხოვრება უანკარეს ღვინის ფერიაო“ — თქვა ქართველი ერის უდიდესმა წარმომადგენელმა, სხვას ვერაფერს შეადარა მისი ზნეობა, განა ცოტაა? სწრედ ღვინის მეშვეობით ვაფასებთ ცოცხლებიდან მოყოლებული — მიცვალებულამდე ყველა ადამიანს. ქართული ჭირისა და ღვინის ტრადიციების სიმბოლოდ ღვინო ქვეყნულა, სუფრას აზრი არა აქვს მის გარეშე. მისი წყალბოლი ხშირად ენამზებოდა დასავლელი პურიჭამა, თავაშვებულ ორგანოშიც კი გადაზრდილა, მაგრამ მაინც ვენაცვალე ღვინოს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია ჩამოხსნას ნიღაბი, ქედმაღალ, მედიდურ და ამპარტავან „ყოვლისშემძლე“ ადამიანს:

„დავეხსნა ცოდვილთ ქებასა, ღვინო სჯობს ყოველ მცნებას, ბრძენი სულ სიკვდილსა“

ფიქრობს და ლოთი გამარჯვებასა.

...ღვინოში ვეძებთ თავდავიწყებას, დაფრინავთ ცაში და ვიჭერთ მუზეებს. ნასვამი ხარ? — ქვეყანა შენი გგონია, სულ ცისფერად გეჩვენება სამყარო, ფანტასმაგორიული ცნობიერებიდან რეალობაში დაბრუნება არც ღირს მე რომ მკითხოთ. და რაც მთავარია სიმთვრალეში ყველა გვიყვარს, ვინც კი შეიძლება გვიყვარდეს... — ეს ერთი საათი არ მორჩება თავის ფილოსოფიას ბახუსის შესახებ — გაანყვებოდა სიტყვა მანანამ, თენგი კი კვლავ მთელი გრძნობით საუბრობდა.

ყველ იცინოდა.

— თენგი, თუ შეიძლება საზოგადოებას აინტერესებს გაიგოს, თუ ვინ დაწერა ეს ლექსი — ჩაეკითხა ლედი.

— სულერთი არ არის ვინ დაწერა? დაწერა იმან, ვისაც ჯიჯარი ეწვოდა. ასეთად მე მხოლოდ გალაკტიონი ვიცი.

— რალა მაინცდამაინც გალაკტიონი და არა ნიშნინიძე, ან მაჭავარიანი — არ ეშვებოდა ლედი.

— რატომ ჩემო ანგელოზო და ის იყო კაცი, მხოლოდ მან იცოდა ღვინის ფასი — იხტიბარს არ იტყვდა მოლაპარაკე. — მან ღვინის ფასი იცოდა, ლოთი კი არ იყო

— ჩაკერა ბადრი. „ზოგიერთებისაგან“ განსხვავებით გალაკტიონი მუდამ პოეზიით იყო მთვრალი.

— აუფ, კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო, შენ ვითომ რამ აგინვა კუდი? არც ღვინოს ეკარები და ვერც გენიოსობას დაგნამებთ — ხუმრობანარევი კილოთი ჩაეკითხა გიო.

— არც ვჩემულობ — გალიზიანდა ბადრი, მე სულ სხვა რამ ვთქვი, მაგრამ გინდ რეგვენისთვის გისწავლებია, გინდ მკვდრისთვის გინამლებია.

— გინება პატრონისაა — აულელებლად აგრძე-

ბურანიდან ძლივს გამოდიოდნენ ახალგაზრდები. ისინი ერთ თვალნარმტაც ედემიდან, მეორე ნალკოტში გადადიოდნენ და მიდიოდნენ... მიდიოდნენ უსასრულოდ. ცის თალს ბრჭყვიალა ბგერები დაესია, მინამ ხმები აირეკლა. დრო კი შეუმჩნევლად გადიოდა.

მუსიკა შეწყდა. ლედის მიერ შექმნილი უჩვეულო გარემოთი აღფრთოვანებულ გოგო-ბიჭებს სახეზე გაკვირვებისა და აღფრთოვანების ღიმი დასთამაშებდათ, ეს გოგო ნამდვილი პროფესიონალი იყო და ჯადოქარი მუსიკალური უღერადობის ჰანგებად გადმოცემის.

— რამდენჯერ მომისმენია ამ მუსიკისათვის, მაგრამ ასე არასდროს ავლევებულვარ — გადაულაპარაკა გვანცამ დათოს,

დი. ყველას გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა, მისი ფართო გაგებით. ვადიდოთ ქალი — დედა, ვისმა სიყვარულმაც არ იცის ზღუდე, არ იცის დაბრკოლება, ვისი ძუძუთაც გამოზრდილია მთელი მსოფლიო. ყველაფერი კარგი და მშვენიერი ადამიანში მზის სხივებისა და დედის რძისგანაა. აი, რა გვახარებს ჩვენ და გვაძლევს სიცოცხლის სიყვარულს. „დედა-კაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში, დედა გადამწყვეტი შეილების ბედობისა, შვილის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ დედამ რა შთაბეჭდილებით ასაზრდოვა შეილის ნორჩი, მაგრამ ღრმად აღმბეჭდავი გული და გონება“ — ნერდა ვაჟა. არსებობს სადღეგრძელოები, რომელთა წინაშეც სიტყვები უძლურია, მჯერა,

უკანასკნელი ძალების მოკრებით ლედიმ შექსპირის სონეტით დაასრულა:

„ფიქრთა სამსჯავრო როს მოუხმობს დღევებს“

გარდასულს, ყმანვილკაცობა დაკარგული მომაგონებდა. ვიგონებ ნუთებს განუქარველ დარდით დალდასმულს, და ჩემთვის ძვირფას აჩრდილებზე

ვინცებ გოდებას. თვალნი დამშრალნი ივსებიან ცრემლით

მდულარით, დედიკოს ჩემსას რომ ახურავს კუბოს ფიცარი,

მინაზე დავრჩი სიყვარულის ფიქრით მწუხარი, მინამ ნაილო სახელები დასაფიცარი.

და მეც ნალველი გარდასული ისევ მანაღვლებს, ძველი დარდებით დაკოდილი რამ დამამშვიდოს?!

სულის ჭრილობებს მოშუშებულს ისევ ვანახლებ, საფლავს ნასულნი კვლავ

გამიხდენ საპანსვიდო.“

ლაპა-ლუპით ნამოსული ცრემლების ნაკადი ნიკაბთან ეფსკენებოდა ლედის. გოგო-ბიჭები უხმოდ ქეითინებდნენ, განდობილმა და მეგობრების მიერ გათავისებულმა მწუხარებამ, ლედის ნალველი ამკარად შეუმსუბუქა, თანაგრძობამ ლედი შეუმსუბუქა. მისთვის ყველაზე უსაყვარლესი ხალხი გულწრფელად იზიარებდა ამ მდგომარეობას, ეს ლედის ჰაერით სჭირდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

სიკვდილიდან მარადისობამდე (რომანი)

ლებდა გიო ბადრის მოთმინებიდან გამოყვანის თამაშს — შენთვის ღმერთს სიმალე რომ მიეცა, გამჭრიახობით ყველას უკან ჩამოგვიტოვებდი.

— სიმაღლეს რომ ჭკუა ჰქონდეს, ალვის ხეს დაეკითხებოდნენ — ჩაიქირქილა ბადრი.

— ყოჩაღ ბადრი-ჯან. ოდესაც თურმე გულადი ქორი ქანდარაზე ჩამოხრჩობილაო, გაგონილი გექნება, ნაკითხი ბიჭი ხარ.

— არ გინდა, თორემ ისიც გაგონილი გექნება — გულმოსული კაცი და მთვრალი ხომ ერთია — უფრო დაუბოხდა ხმა ბადრის.

— კი, მაგრამ როდემდე ვუსმინოთ ამ აბრაშბას — ცივად შეანყვეტინა რამაზიმ.

— ძმაო რამაზ, გააგებინე მაგას — საჩვენებელი თითი ლამისაა შუბლზე ატაკაბადრის, — რომ მასთან შედარებით ის მცირედი უპირატესობა მაინც მაქვს, რომ სუფრის ნეკრად ვითვლები და თუ ვილაც უცხომ შემოიხედა შემთხვევით, აუცილებლად შემაძმნევს — გარდამხდულად მოისვა ხელი ღვინიან ტუჩებზე გიომ.

ამასობაში ლედი უთქმელად ადგა და ნელა გაემართა როიალისაკენ. ამხანაგებმა ხელად შენიშნეს და სასიამოვნო მელიოდის მოლოდინში გაირინდნენ.

კლავიშებს ნახად შეეხო თლილი თითები. პირველი აკორდის დარხვისთანავე, დარბაზში მყოფნი მოეშენენ, მოდუნდნენ, ნელა გადაეხევენ სკამის საზურგეებს. ისე ამკარად შემოესმათ ფოთლების შრიალი, თითქოს ტყეში იმყოფებოდნენ. ხმა რიტმულად დაირხა.

მოცარტის სიმფონია სულში ტკბილად ელვენებოდათ მოჯადოებულ მსმენელთ. ლედი „ფიგაროს ქორნიებს“ უკრავდა.

მოხერხებულად დასრობილებდნენ გამოცედილი და ფოთქინა თითები ნახ კლავიშებზე. ლედი მთლიანად მუსიკის აგონიამ შთანთქა. ნელ-ნელა ყველა და ყველაფერი დაავიწყდა.

თავდავიწყებამდის მისული უკიდევანო სივრცისკენ მიექანებოდა, გრძნობდა რა ანდამატივით იზიდავდა მოხიბლულ მსმენელთა გულებს. ოცნების ფერია, ოცნების გემით ხმელეთს შორდებოდა. გრძნობდა, რასაც უკრავდა და ამიტომ აგრძნობინა სხვებსაც, ბოლოს თანდათან დამშვიდდა და მიწყდა უკანასკნელი ბგერები გავიდა ნაშები, მუსიკა შეწყდა, მაგრამ ირგვლივ სრული სიჩუმე გამეფებულყოფი. ეს უხმო „ბისი“ იყო.

ლედიც მიხვდა შემოქმედების შედეგს და ახლა „მთვარის სონეტი“ დაუკრა. ლამაზ კომპარულ ძილ-

რომელმაც თავის მხრივ თავის ქნევით დაუდასტურა.

ლედი ჩამოჯდა. მოწონების შეძახილები არ წყდებოდა. ვილაცამ დისკი ჩართო. სიტუაციის შესაბამისი ჰანგები დაირხა. ინგლისური კლასიკა ჰაერში გაერია, თრობა და თრთოლვა ურთიერთს შეერწყა ახალგაზრდების ცნობიერებაში. სმენამ გულსიცემა ააჩქარა, ხელოვნების თავისებურებაა, რომ ერთდროულად მიუწვდომელი და ამავე დროს თითქოს ხელშესახება ყველასთვის. მუსიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰარმონიის ენიჭება, რომელმაც სულით-ხორცამდის უნდა შეგძრას.

ყველას საცეკვაოდ გაუნია გულმა. ისინი სწრაფად დაწყვილდნენ: გიომ მაიკო გაიწვია, თენგი — თუა, ხლო რამაზი კი მოკრძალებულად უახლოვდებოდა ლედის. ამას ყველა მოელოდა და სწორედ ამიტომ არნივის კუთვნილ ლუკმას, ვერავინ შეჰბედა თითის დაკარება. ლედი ძალაუფლებულად გაჰყვა რამაზს. ისინი ცხოვრებაში პირველად ცეკვავდნენ ერთად, მაგრამ, თითქოს, მთელი ცხოვრება ცეკვით გალიესო, ისე ჰარმონიული და ბუნებრივი იყო თითოეთული მოძრაობა, შეწყობილი, მსუბუქი.

ლედის გაუკვირდა კიდევ რეალობაში უხეში და გოლიათური აღნაგობის რამაზისგან ასეთი დახვეწილი, ჰაეროვანი მანერები. რამაზი ხვდებოდა, რომ ახლა სიტყვებს ყველაფრის ნახდენა შეეძლოთ და ცეკვის დასრულებამდე ხმა არ ამოულია, არც ზედმეტი მოძრაობა გაუკეთებია.

მხოლოდ ხელზე ვამბორა სათავანებელ არსებას და ადგილამდის მიაცილა. ლედიმ კმაყოფილებით აღსავსე მზერით გადახედა რამაზის.

ამასობაში მიმტანებმა სუფრა განახლებული დაახვედრეს წყვილებს. თეფშები წკრიალებდნენ, ახალ კერძებს ოხშივარი ასდიოდათ.

ხოლო რეპორტიორი ვიდეოკამერით ხელში, ყველა საინტერესო და ლამაზ მომენტს ფირზე აღბეჭდავდა.

— შემიძლია გავაგრძელო თამადაობა? — რამაზის ჯამს ვანო კამკამა ღვინით ავსებდა.

— ამ ჭიქით მორიგი სადღეგრძელო უნდა შევსვათ. ეს ის სადღეგრძელოა, რომელსაც ქართველი ყველაზე სასიამოვნოა და მოწონებით ამბობს ხოლმე. ჩვენ უკვე ვადღეგრძელებთ აკვანი, ხოლო ვინმაც ის აკვანი დაგვიწვინა — არ გვიდღეგრძელებია ჯერ. დედებს გაუმარჯოთ! დედებს დავლოცავ-

მნამს, რომ დღეს ზრდასრული შეილების სიხარულს, თითოეთულის ჩვენგანის დედაც უერთდება. არა აქვს მნიშვნელობა — ცოცხალია თუ არა ის.


კლასში ლედის მეტს ყველას ჰყავდა დედა.

ფარულად, შეპარვით გადახედეს მას, დედის ხსენებისას ლედის თვალბეჭდებში ჩაბუდებული უსაზღვრო სევდის ყურებაზე გული უკვდებოდათ მეგობრებს. მუდამ თავშეკავებულ, მტკიცე ნებისყოფის მქონე ლედის ოდნავ შესამჩნევად უთრთოდა მხრები შეკავებული ქეითინისა და ფარული ვნებთაღვლევისგან.

რიგრიგობით, დინჯად და დიდი რუდუნებით იმეორებდნენ სადღეგრძელოს ამხანაგები, იცოდნენ ბოლოს ლედი იტყოდა.

ის ფეხზე წამოდგა და ყელში მოხვეწილმა ბოლმამ კინაღამ გაუგუდა სასულე. უაზრობა იყო თვალთმაქცობა, სისულელე თავშეკავება. მოემზადა ეთქვა ის, რასაც წლების მანძილზე საგულდაგულად მალავდა და მხოლოდ მთვარიან ღამეს ანდობდა.

— მაპატიეთ, ჩემს უბედობას თავს რომ გახვევთ. დედებს დაგილოცავთ. ჩემი გული კი ცარიელია. გული ორი წლის წინ დაგმარზე ვაკის სასაფლაოზე დედასთან ერთად. მისმა სიკვდილმა სიკვდილთან შემეგუა, დასაშვებად, ბუნებრივად, კანონზომიერად მიმანჩია ყველა ადამიანის გარდაცვალება ნებისმიერ ასაკში. გავბოროტდი, მაგრამ ღვარძლი არ ჩამწვეთებია სულში. მხოლოდ საკუთარი თავის მტერი გახვდი. დანაშაული მაგონია დედის გარეშე არსებობის გაგრძელება, ვფიქრობდი ჩემი უზადობით უპირველესად დედა უნდა გავახარო-თქო. დავრჩი მარტო, სრულიად გაძარცვული და უული. მნარე ნალველი, აუტანელი ტკივილი, ცრემლი, მთვარე და დუმილი დავიმეგობრე. ყველა ფიქრი სამარის უგულო ლოდამდე მიდის. ვითვლი წლებს, თვეებს, წუთებს, წამებს და ვფიქრობ: „ნუთუ არ არის დრო, თავი მოვიკლა?“ მაგრამ სამწუხაროდ, ვიცი რომ ეს უდიდესი ცოდვაა და ჩემივე ხელით მოვისპობ უკანასკნელ მიმდებ — იმიერში დედის სულთან შერწყმის. მინდა ვილოცო და გავთავისუფლდე ამ უსასო, არაადამიანურ ტანჯვა-გვემისგან. ნამებას ბოლო არ უჩანს. არ ვიცი სად განწყდება მოთმინების ძაფი... ორი უგრძნობი კოცნა მინდა დავლოცო, როცა შვილი იზადება, დედა კოცნის, ის კი ამას ვერ გრძნობს და როცა დედა კვდება, როცა შვილის უკანასკნელ ამბორს დედა უგრძნობლად ხვდება.



გერგები ცოტნე ქოცოფედა! (ლუკა კვარაცხელიაში მაფერაფალი ლერსი)

წირადილი თირი გვალას სასწაულო გაგმონტებუ... ჩქიმი ლუკა, მუშმამალას შქვითი ნანა გაითებუ!.. ანწ არზი უღუ რინას, ირო რშვდას თენა სქუა: გიკორდასგ ნანაშ ნინა, შვგა ნინაშა ვათირუა!.. ჩე დლაქ ირო გოითანდას, ოხიოლდას ჯგალ დო ჯიხას, ტერშა დლასგ ვემეჩიამდას სასკოროფო სქანი დიხა! შორხოლოშე გეგნოჯინე ოხაჩქუემ დიდი გვალა, გგოცენდგ, გგაპინე, — ფუფქი,

ბუაცალო გგმნაჭვალა... ორქომ შხური, —

რდგ თემ რაგადი, — გერსისმარაფ,

მინის, — ლუმა... გაიხარებდას ჯგირ გურაფათ მარდუალეფი: დიდა, მუმა!

ვენკორჭაფდას მუთუნ ჭუა, შურობუმშე სოთინ ვედა, ქორშიზუდას ქუჯის ჭუა, გერგები ცოტნე ქოცოფედა!

ვალერი ძაძამია, 2013 წანა, 22 იანარი.

უბრალოდ — მარიეტა!



მარიეტა სკამბოლში

იმ უსაშველო ტკივილს, რომელიც დღეს ცრემლად წვიმს ობოლში, მარიეტა კაკაჩია ჰქვია. მიდის ჩვენთან 15 წელს მიუღწეველი, ხორცმეხობი სიყვითელე და სიყვარულად მოარული, ალალილილიანი და მუდამ ხალიხიანი გოგონა, რომლის ლამაზი სიცოცხლე უკურნებელმა სენმა შეინარა.

მარიეტას უცოდველი, უმანკო სული ამაღლდა ზეცად, ჩვენ კი აქ, ამ ცოდვილ დედამიწაზე დავტოვებთ დიდ, მოუშუბელ ტკივილთან ერთად.

მის ამქვეყნად ნასვლას დასტირის ყველა: ახლობლები, ნათესავები, მეზობლები, კლასელი, მასწავლებლები, ნაცნობი... მარიეტას ასაკში ასეთი დიდი სიყვარულის მოპოვება ყველას არ შეუძლია. იგი გამოჩენილი იყო სიკეთით, სიხალისით, სიყვარულით სავსე გულით, თანაგრძობის უნარით, საოცარი პასუხისმგებლობით, პირველობისკენ სწრაფობით, როგანზატორული ნიჭით. ასეთ პატარას არ ეძლეოდა ურთიერთობა არა მარტო ტოლებთან, არამედ უფროსებთანაც კი.

ის კლასის ცხოვრების კატალიზატორი იყო და რა ძნელია მისი კლასელებისთვის, ჩემთვის, საგნის მასწავლებლებისთვის მარიეტას ცარიელი მერხის დანახვა.

მრავალშვილიან, მორწმუნე ოჯახში გაზრდილ თავისუფლად შეძლო აეყოლიებინა, შეეკავშირებინა კლასელები და საკვირველია, რომ ეს მან სიკვდილითაც კი მოახერხა. მისდამი პატივისმცემებისთვის საოცრად დარაზმა და შეაკავშირა ისინი.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა მესხიერებაში არასდროს ამოიშლება ლამაზი, ცელქი, სიცოცხლით სავსე გოგონა, რომელიც მჯერა ცათა სასუფეველში დაემკვიდრება და იქიდან გვლოცავს მისეული კეთილი ღიმილით.

*

მიდის და მიაქვს ცრემლი და გლოვა ის ან ალარ დაგვიბრუნდება... ჩვენთან დარჩება... ნათელი ხსოვნა და თალხი დიდხანს არ გახუნდება.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო...

*

შენ გაზაფხული გიყვარდა და გაზაფხულში ჩარჩი, გაიზრდებოდა კლასელი... შენ სულ იქნები ბავშვი... ჩვენ ავივსებთ ცოდვებით ცხოვრების ბილიკებზე, შენ ანგელოზი იქნები, ჩემად ილოცებ ჩვენზე. გვწამს, გაზაფხულზე მოჰყვები თამამ ენძელს მარტში, ზაფხულში მოხვალ მზის სხივად ცელქი, გულთბილი ბავშვი...

შემოდგომამ შენს ღიმილს ქრიზანთებზე გაშლი, ზამთარში ლამაზ ფიფქებზე მოხვალ თოვალში, ქარში. შენ გაზაფხული გიყვარდა და გაზაფხულში ჩარჩი, ემასხოვრები მთელ სკოლას შენ სულ იქნები ბავშვი...

მანანა კაკაჩია.

*

უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, მოიხსენე, სულნი გარდაცვალებულთა მონათა შენთა (მარიეტასი) და ყოველთა მონათესავთა ჩემთა და სასოებით მკვდრეთით აღდგომისა და საუკუნოს ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა მამათა, ძმათა და დათა, მიუტყვენ მათ ყოველივე შეცოდებანი მათნი, მიეც მათ საუკუნო სხენება.

უცნაური ამ შესავალში არაფერია, გარდა შინაარსისა, რადგან მე-IX კლასის მოსწავლეებთან შეთანხმებული ვიყავი, რომ ყოველდღე გველოცა, ოღონდ სხვა ლოცვა, ცოცხალი მარიეტას საკეთილდღეოდ და არა მიცვალებულის მოსახსენიებლად.

ვინც ღმერთებს უყვართ, უდროოდ კედებიან — ამბობდა მენანდრე და მეც უსიტყვოდ ვეთანხმები. ვხედავთ, რომ მარტო ჭირს და ჭრილობებს არ შესძლებიათ ადამიანის დაღუპვა, თურმე უფლის სიყვარულითაც ხერხდება მისი მზის დაბნელება. და რაკი უფალმა ასე ინება, ამიტომაც უფალს ებარებოდე, ამინ!

არასდროს გამჭირვებია და არასდროს დავბნეულვარ ბავშვებთან საუბრისას, მაგრამ დღეს იძულებული ვაგხდი სათქმელი შემეკონინებინა, ყელში გაჩხერილი ცრემლი უკან ჩამებრუნებინა და შენთვის უკანასკნელად მომემართა, რადგან ვიცი, უთქმელობით, ისედაც ავადმყოფი გული ძალიან გეტკინებოდა. ჩვენ ხომ ერთმანეთი უსაზღვროდ გვიყვარდა.

უკვე ერთი კვირაა გასული უშენოდ საყვარელო და თავზარდაცემულია ობოლური საჯარო სკოლა, შეძრწუნებულია თითოეული ჩვენგანი, გაოგნებულია ყველა ბავშვი, რადგან მკვდარ მარიეტას უძრაობას ვერავინ შეგუებია. ასეთ, ერთ ადგილას გაქვავებულ მარიეტას მე არ ვიცნობდი! გაჩერებული და დადუმებული მარიეტა ჩემთვის უცხოა! შენს გარეშე ჩატარებული გაკვეთილი ჩვენთვის არაფრის მთქმელია, მე-IX კლასის ოთახის კუთხეში ყვავილების ამარა დადგმული ცარიელი მერხი — ჩემთვის ამაზრზენია“ შენი ლამაზი ბავშვიდან დღეიდან არ თქმული გაკვეთილის მოსმენა — უხალისო!, ხოლო შენს სიკვდილთან შეგუება კი ბედის ირონია!

ჩემო პატარა ანგელოზო!“ — შენი სიყვარული ჩვენს გულში ყველაფერზე ძლიერია, ტკობა წარმავალი, პატიოსნება უკვდავი, შვიდი ბრძენის სიტყვას შე-

ვასხენებ საზოგადოებას, რადგან შვიდივეს უშეცდომოდ ასრულებდა ეს, ერთი შეხედვით ცილა გოგო: — შეიცანი თავი შენი!, იყავი ზომიერი!, იზრუნე უმთავრესისთვის!, ღმერთს აღიდებდი!, მშობლებს პატივს სცემდი!, ზედმეტს არაფერს აკეთებდი და გახსოვდა სიკვდილი, რადგან შენს მიერ გატარებული ყოველი დღე, უკანასკნელ დღეს ჰგავდა. მე მერვესაც დავამატებდი — იყავი უაღრესად გონიერი!

ბედნიერი დროა, როცა ნება გვეძლევა ილაპარაკო ის, რასაც განიცდი. მე უფლება არ მქონდა შენს მიმართ განსაკუთრებული სიყვარული გამოემჟღავნებინა სხვა ბავშვების თანდასწრებით. დღეს კი შენმა მდგომარეობამ ამის უფლება დამიბრუნა, ამიტომ გეტყვი: — უსაზღვროდ მიყვარხარ პატარავ!

ღმერთი შენში იყო და არა ცაში!

უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, ლოცვათა ყოვლად წმინდისა დედისა შენისათა ღირსთა და ღმერთმემოსილთა მამათა ჩვენთათა და ყოველთა წმინდათა, შეგვიწყალებ ჩვენ, ამინ.

უფალო შეგვიწყალებ უფალო შეგვიწყალებ უფალო შეგვიწყალებ.

ნინო კვიციანი.

მარიეტა, მინდა დაგემშვიდობო... ცრემლები მახრჩობს... ვიცი, ვერასდროს გნახავ, მაგრამ მჯერა და მწამს, რომ არ მომკვდარხარ, უბრალოდ ზეციურ საუფლოში გადაინაცვლე, უბრალოდ ცხოვრების სხვა გზა აირჩიე და ეს გზა მინდა დაგილოცო. ვიცი, უფალთან იქნები, რამეთუ უფალს შენნაირი კეთილი და ლამაზი სულის მატარებელი ადამიანები მიჰყავს თავისთან!

მუდამ გვემასხორებები, მიუხედევად იმისა, სადაც არ უნდა ვიყო! მართალია, ფიზიკურად დაგვაკლდი, მაგრამ სულირად სულ ჩვენთან იქნები. ძალიან გვიყვარხარ, მარიეტა და როგორც ანგელოზის, ისე გვწამს შენი!..

სანთელ-საკმეველმა გაგინათოს უფლისკენ მიმავალი გზა, ჩვენო დიდო ტკივილო!.. მშვიდობით სამუდამოდ...

თამილა ბერიშვილი.

ძალიან მტკივა გული... მაგრამ არაფერი შემიძლია... ჩვენი ძალიან კეთილი გოგონა, ლამაზი, ჭკვიანი და მოსიყვარული მარი ანგელოზებს ზეცაში წაუყვანიათ და ალარ გვიბრუნებენ...

მარი, მე უბრალოდ შენი უფროსი თანასკოლეი ვიყავი, თუმცა, რატომღაც ყოველთვის განსაკუთრებით მიყვარდი და ვიცი, რომ შენც ასევე გიყვარდი, რადგან საოცარ სითბოს იჩენდი ჩემს მიმართ... ახლა კი ძალიან მაკლია შენი სითბო და გულწრფელი სიყვარული... აკლიხარ შენს კლასელებს, მასწავლებლებს, ამხანაგებს... ბოლო ამოსუნთქვამდე ებრძოდე უკურნებელ სენს... სიკვდილს... ბოლოს დაილაღე და დანებდი...

ცხოვრება უსამართლოა ზოგჯერ... განა ეს სამართალია? რასაც დღეს ვხედავთ ყველა ჩვენგანი?.. მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ შენ სამოთხეში ხარ და იქიდან ყველას გემფარველობ!.. ბუმბულივით მსუბუქი ყოფილიყოს შენი საყვარელი სოფლის მიწა და ღმერთმა ცათა სასუფეველში დაგიმკვიდროს სამუდამო ბინა... მიყვარხარ, მიყვარხარ, საყვარელო...

ჯილდა მესხია

მარიეტა

მომეჩვენა, რომ გაზაფხულს თალხი ფერის კაბა ეცვა, სიო ნაზად ჩურჩულებდა: მარიეტა, მარიეტა.

მინიერი ალარ ვიყავ, ალბათ ასე მერგო ბედად, ანგელოზად მომნათლეს და ამაფრინეს უფალ ღმერთთან. იმ სიოსთან მეც დავფრინავ, ნუ იღვრები დედი ცრემლად, მე თქვენს გვერდით

კვლავ ვიქნები დამიჯერეთ, ყველას გხედავთ. ჩემი წრფელი ოცნებები ფრთებს გაშლიან

თქვენთან ერთად და სიზმრებში კვლავაც ვირბენ ჩემი სკოლის მეგობრებთან. გაზაფხულზე ავფეთქებდი მოვალ მინდვრის ყვავილებად, ზამთარში კი ვიფარვებთ თეთრ ქათქათა ფანტელად. დილით მზის სხივს ამოვყვები გაბრწყინდები ათასფერად. გეფერებით, გვედრებით არ დავნებდეთ დარდს

და სევდას, ჩემს თაობას მომავალში ნათელი დღე ელოდება.

გთხოვთ, მიგულვით მეც თქვენს გვერდით და კვლავ თბილად

დამიძახეთ — მარიეტა, მარიეტა.

ლია ანთია, 2013 წ.

დღე ტკივილით მოიჩრდილა, მზესაც სევდის

ცრემლი ცვივა — ალარ არის მხურვალე და ცხელი,

ქართველ დედას მზე უკვდება, — ქართველ დედას შვილი ტკივა, გავუნოდოთ

თანაგრძობის ხელი! გულის მზერა მივაგებოთ, მწყურვალ სულით მოვეფეროთ, სიყვარული შევაგებოთ

წრფელი, ქართველ დედას დღე უკვდება, ქართველ დედას ცა უკვდება — გავუნოდოთ სათნოების ხელი.

ვიჩქაროთ და სიკეთე ვქმნათ, პეშვით რწმენის თასი ვასვათ, ამოვუშროთ მზეს

თავლები სველი, ქართველ დედას სული ტკივა, ქართველ დედას ზეცა ტკივა, გავუნოდოთ სიყვარულის ხელი.

სიკეთის მზეს მოვუფიცხოთ კვლავაც გული, სიკეთის მზით ავამზეოთ

დღენი, ყველას, ვინაც მზე დაკარგა, ვისაც ტკივა, გავუნოდოთ თანადგომის ხელი.


მოვუშუშოთ კვლავ ერთმანეთს ტკივილები, თანავუდგეთ, ერთურთს

როცა გვიჭირს, ღმერთო, ქართველთ

არ წაგვართვა სიყვარულის, თანაგრძობის და

სიკეთის ნიჭი. ლეილა სიჭინავა.

მამა, ტკივილო ჩემო!..



ძნელია ჩემთვის შენს შესახებ წარსულში ვნერო. დღეები გადის, მაგრამ უცვლელია შენი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლით გამოწვეული ტკივილი და სევდა. მამა, ჩემო სიცოცხლე, ჩემო სიკეთის და სათნოების განსახიერებავ, რატომ გერგო ასეთი მწარე ხვედრი?! გაუსაძლისია ეს ტკივილი. გამოსავალს ვეღარ ვპოულობ. ძნელია ამ ყველაფერს გავუძლო და შევეგუო.

1 თებერვალს 64 წლის გახდებოდი. პირველად შევხვდი იმ დღეს უშენოდ. ბოლო წლებში ჯანმრთელობა მერყეული დაიარებოდი. ოთხი ინსულტი გადაიტანე, გეგონა მესუთესაც გაუძლებდი, მაგრამ არ გაგიმართლა.

15 იანვარს, ძველით ახალ წელს სუფრასთან იჯექი და ლამაზი სიტყვებით ამკობდი სადღეგრძელოებს... უცებ დახარე თავი, ცუდად გახდი... ნეტა, რა გიხაროდა წუთის წინ... ნუთუ, ვერ გრძობდი, რომ უკანასკნელი საათები დავიდგა სიცოცხლისა... ტვინში სისხლი ჩაგექცა... მხოლოდ ორი სიტყვა წაჩურჩულე: „ვაიმე, დედა!“ ნუთუ, სხვა სათქმელი არ გქონდა ჩვენთვის... ამ ყველაფრის დავინყება ხომ შეუძლებელია...

იყავი შრომისმოყვარე, სადაც გიმუშავია ყველგან დიდი სიყვარული და გამსახურებია. სამი შვილი გაზარდე — ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. კარგი საქმეები გიკეთებია და ასე კაცურ-კაცობით გაერიდე წუთის სოფელს.

წელიწადნახევრის წინ გაცივლე იმ ქვეყნად მოხუცი დედა და ახლა შენც მასთან ყოფნა არჩიე. ძალიან გვატკინე გული შეილებს. შენს და-ძმას ჯერ არ შემეშობიათ ცრემლები თვალეებზე...

შენი მუშავე ცრემლიანი თვალებით შენს სურათს მისჩერებია და მწარედ ქვითინებს. ყოველდღე შენს საფლავზე მოსთქვამს... შენს ერთადერთ ვაჟიშვილსა და რძალს დააკისრე პასუხისმგებლობა, რომ ისევე შექმნან ოჯახური იდილია... უბრალოდ, ახლა შენ კი არა, ქვრივი დედა გაუძლებდა მათ წინ.

შენმა უსაყვარლესმა შვილიშვილებმა ლაღუჩიამ და გიორგიმ მღულარე ცრემლებით დაგიტირეს. თამუნა, თემური, მილანა და ილონა მწარედ ქვითინებენ... ოთხი წლის იკაკოც გრძნობს ამ ტკივილს და სათუთად უფათურებს ხელს შენს სურათს. მანაც იცის, რომ შენ უკვე აღარ ხარ...

გვიჭირს უშენობა, მამა! ყველას გვაკლიხარ და გვენატრები! უსაზღვროა ეს მონატრება ჩემო საყვარელო, მამა!..

მედეა ხუნწარია 10. 02. 2013 წ.

ნოჯიხური

რედაქტორი — ვალერი კახაშია

„ნოჯიხურის“ მისამართი: ნალენჯიხა — ობუჯი ლეო ქიაჩელის №37. ტელ: 591 91-32-89; 790 87 83 94 გამომცემი 2005 წლის ოქტომბრიდან

ანკობა და დაკაბადონება — თია მიშვილია ტელ: 555 49-22-07